საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 27 სექტემბერი. 2019 წ. №192 (8858) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

27 სექტემბერი. აფხაზეთი მოსვენებას არ გვაძლევს!

ომი, რომელმაც ტკივილიც გვასწავლა და ტკივილის მოთმენაც!

1993 წლის 27 სექტემბერი საქართველოს უახლოესი ისტორიის ყველაზე ტკივილიანი დღეა!

ამ დღეს დაეცა სოხუმი, საქართველო დამარცხდა აფხაზ სეპარატისტთა, რუსეთის ჯარის და ჩრდილოეთ კავკასიელი ბოევიკების წინააღმდეგ ომში, რომელიც 13 თვე გრძელდებოდა – 1992 წლის 14 აგვისტოდან 1993 წლის 30 სექტემბრამდე.

ეს იყო სრულმასშტაბიანი თანამედროვე ომი, რომელშიც მონაწილეობდნენ კატარღები, „გრადები", შვეულმფრენები, ტანკები, მოიერიშე თვითმფრინავები, არტილერია.

ამ ომში 4 ათასი ქართველი მეომარი დაეცა (ამდენივე დაკარგეს აფხაზებმაც), მაგრამ ქართველი ეროვნების მშვიდობიან მოსახლეობას შორის დანაკარგი ორჯერ მეტია: გაგრისა (1992 წ. 1-2 ოქტომბერი) და სოხუმის დაცემის შემდეგ სეპარატისტები და კავკასიელ მთიელ ხალხთა კონფედერაციის მოთარეშენი ქართველებს მასობრივად ხვრეტდნენ ეროვნების მიხედვით. ეს იყო ეთნიკური წმენდა და ქართველთა გენოციდი, მაგრამ ამაზე საერთაშორისო საზოგადოებრიობა რატომღაც სათანადო ყურადღებას არ ამახვილებს.

მან მიაყურისძირა ისეთი ტერორისტული აქტებიც, როცა სეპარატისტებმა და რუსმა სამხედროებმა 1993 წლის სექტემბერში სამი ქართული სამგზავრო თვითმფრინავი ჩამოაგდეს და აეროპორტშიააფეთქეს, რასაც 136 კაცის სიცოცხლე ემსხვერპლა. ამ მიყურადებას საჰაერო ტერორიზმის აყვავება მოჰყვა საერთაშორისო მასშტაბით.

აფხაზეთის ომი დიდი განსაცდელი და, იმავდროულად, დიდი გამოცდა იყო. ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ, ახალგაზრდა ქართულ სახელმწიფოს ჯარი არ ჰყავდა, მის მეომრებს სამშობლოს სიყვარულით გულანთებული მოხალისეები შეადგენდნენ, მათ ერთბაშად ბრძოლა მოუხდათ არა მხოლოდ სეპარატისტებთან, არამედ რუსეთის რეგულარულ არმიასთან და საშოვარს დახარბებულ ჩრდილოკავკასიელ მოთარეშეებთან.

ამ ომმა გვასწავლა ტკივილი და ტკივილის მოთმენა. გვასწავლა დაკარგულის დაფასება და მონატრება.

აფხაზეთი ჩვენს სისხლსა და ხორცშია გამჯდარი და მოსვენებას არ გვაძლევს.

გვახსოვდეს აფხაზეთი!

სერგეი ლავროვი დავით ზალკალიანს შეხვდა

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით ნიუ იორკში დავით ზალკალიანისა და სერგეი ლავროვის შეხვედრა გაიმართა.

– შეხვედრა შვეიცარიის შუამავლობით შედგა, რომელიც მოსკოვსა და თბილისს შორის დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობის პირობებში რუსეთის ინტერესებს საქართველოში, საქართველოს ინტერესებს კი რუსეთში წარადგენს.

შეხვედრის მიმდინარეობისას, რუსეთის საგარეო უწყების ცნობით, საუბარი შეეხო ორმხრივი დღის წესრიგის აქტუალურ საკითხებს.

საქართველო სტაბილურობის კუნძულია საკმაოდ რთულ რეგიონში

ამონარიდები გაეროს გენერალური ასამბლეის 74-ე სესიაზე საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლიდან

...საქართველო ევროპის განაპირას მდებარე პატარა ქვეყანაა, რომელმაც გასული 28 წლის განმავლობაში არაერთი რყევა და ცვლილება განიცადა: აღიდგინა დამოუკიდებლობა, გახსნა საზღვრები, შეუერთდა გლობალიზაციის პირველ ტალღას, გადავიდა საბაზრო ეკონომიკაზე, გადაიტანა ომი და დღემდე გაჭიანურებული კონფლიქტებისა და ოკუპაციის პირობებშია. მიუხედავად ამისა, პატარა საქართველო, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი დემოკრატიული ქვეყანა, ეკონომიკურად და სოციალურად ვითარდება და სტაბილურობის კუნძულია საკმაოდ რთულ რეგიონში.

ქართველები მცირერიცხოვანი ერი ვართ, მაგრამ კარგად ვიცით სოლიდარობის ფასი. ჩვენი ადგილმდებარეობა გვიკარნახებს, რომ ვართ იმ რეგიონის განუყოფელი ნაწილი, სადაც გლობალური გამოწვევების დაძლევა მშვიდობის გარეშე წარმოუდგენელია. ასევე კარგად გვესმის, რომ ჩვენი პლანეტის ხვედრი ჩვენი ხვედრიცაა.

საქართველო, ისევე, როგორც აქ წარმოდგენილი ყველა ქვეყანა, აწყდება გლობალურ სირთულეებს, რომლებიც დღევანდელი სამყაროსთვის დიდი გამოწვევაა. ესენია: კლიმატის ცვლილება, ბიომრავალფეროვნების გაუარესება, საყოველთაო ჯანდაცვა, თითოეული მოქალაქისთვის განათლების მიღების შესაძლებლობა, სიღარიბის, უმუშევრობისა და სხვადასხვაგვარი უთანასწორობის დაძლევა.

2030 წლის დღის წესრიგში გაწერილი მდგრადი განვითარების 17 მიზანი სწორედ ამ გამოწვევების დაძლევისკენაა მიმართული. ეს მიზნები გვიკარნახებს, რომ რადიკალურად უნდა შევცვალოთ როგორც სამყაროს მიმართ დამოკიდებულება, ისე ქცევის წესები. გლობალური გამოწვევები მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიძლევა, თუკი მათ კომპლექსურად შევხედავთ და გავაცნობიერებთ, როგორც ერთიან მოვლენას, მრავალმხრივ საფრთხეს. და ეს სულაც არ არის იოლი!

დღევანდელი სამყარო მეტისმეტად რთულია; რთულია ამ სამყაროში შექმნილ გამოწვევებზე რეაგირებაც. აუცილებელია უფრო სისტემური მიდგომის ჩამოყალიბება და სრული სურათის გააზრება.

საქართველო ძალისხმევას არ დაიშურებს 2030 წლის მიზნების მისაღწევად. იგი გააერთიანებს საზოგადოების ყველა წევრს, ერთად შეკრავს კერძო თუ სახელმწიფო სექტორების წარმომადგენლებს და იმოქმედებს მეზობლებთან და პარტნიორებთან ერთად. სწორედ სოლიდარობა და პასუხისმგებლობის გადანაწილებაა მთავარი იარაღი წარმატების მისაღწევად.

იხ. 2 გვ.

საქართველო სტაბილურობის კუნძულია საკმაოდ რთულ რეგიონში

(პირველი გვერდიდან)

გლობალური უსაფრთხოება მთელი სამყაროს გამოწვევაა. ომები, კონფლიქტები და ტერორიზმი სერიოზულ საფრთხეს უქმნის მილიონობით ადამიანის სიცოცხლეს; იწვევს მასობრივ მიგრაციებსა და ლტოლვილთა ურიცხვ ნაკადს. ჩვენ თანავუგრძნობთ ტერორიზმის მსხვერპლთა ოჯახებს, კარგად გვესმის მათი შიშიც და რისხვაც და, შესაბამისად, სრულად ვიღებთ ჩვენ წილ პასუხისმგებლობას უხილავ მტერთან საბრძოლველად.

საქართველო აქტიურ მონაწილეობას იღებს ავღანეთში, მალისა თუ ცენტრალურ აფრიკაში განთავსებული სამშვიდობო ძალების ქმედებებში. ეს ქვეყნები შორსაა ჩვენი საზღვრებისგან, მაგრამ მათი პრობლემები, მოვალეობის განცდიდან და სოლიდარობის პრინციპიდან გამომდინარე, ჩვენთვის ახლობელია.

ომი და კონფლიქტები ჩვენი ისტორიის ნაწილია. საუკუნეების განმავლობაში საქართველოს არაერთი დამპყრობელი ჰყავდა. თბილისი – საქართველოს დედაქალაქი 26-ჯერ გადაუწვავს მტერს; ჩვენი ქვეყანა ხშირად იყო დაპყრობილი მცირე თუ ხანგრძლივი დროით; პერიოდულად იდევნებოდა ჩვენი რელიგია და იდენტობა. მაგრამ საქართველო გადაურჩა ყველა განსაცდელს და დღეს ამაყად უკავია თავისი ადგილი ახალგაზრდა დემოკრატიის ქვეყნების რუკაზე.

სწორედ ჩვეული უტეხი სულისკვეთება იყო ჩვენი რეაქცია 2008 წლის ომის ტრაგედიაზე, – იმ ომისა, რომელსაც რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის 20 %-ის ოკუპაცია მოჰყვა.

როგორც საქართველოს პრეზიდენტი, დღეს მე აქ ვლაპარაკობ იმ ადამიანების გაჭირვებაზე, რომლებიც ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზთან ცხოვრობენ. ისინი ცხოვრობენ იმ ზოლზე, რომელიც ნათესავებს ერთმანეთს აშორებს და სოფლებს ხლეჩს; იმ ზოლზე, სადაც უბედური შემთხვევები და პროვოკაციები ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია; იმ ზოლზე, სადაც პერიოდულად ხდება საზღვრების გადმოწევა. ყოველივე ეს შეუძლებელს ხდის ნორმალურ, მშვიდობიან ცხოვრებას.

მე ვლაპარაკობ ჩვენი მოქალაქეების სახელით, რომლებიც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპირებულ ტერიტორიებზე ცხოვრობენ – იქ, სადაც მუდმივად ირღვევა ადამიანის უფლებები, იზღუდება გადაადგილების თავისუფლება, ჯანდაცვისა და განათლების ხელმისაწვდომობა. ორივე რეგიონის საზღვრებზე განთავსებული გამშვები პუნქტები პერიოდულად იკეტება, რაც ადამიანების ტანჯვას იწვევს.

ჩემი გამოსვლით მინდა, გავაფრთხილო მსოფლიო, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში არა მარტო ქართული, არამედ აფხაზური ენა (რომელიც აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციით) და აფხაზური იდენტობა განადგურების ზღვარზეა; აფხაზი ერის დემოგრაფიული მდგომარეობა კატასტროფულადაა შემცირებული. აფხაზური ენის, იდენტობისა და ტრადიციების დაკარგვა მსოფლიოსთვის აუნაზღაურებელი დანაკლისი იქნება. ჩვენ, ყველა, უნდა გავერთიანდეთ, რათა დავიცვათ და გადავარჩინოთ ეს მდიდარი კულტურული მრავალფეროვნება – განადგურებისგან გადავარჩინოთ ის, რის გამოც არაბები კავკასიას „ენათა მთად“ მოიხსენიებდნენ.

მე ვლაპარაკობ იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სახელით, რომლებიც უკვე ათწლეულებია, ვერ უბრუნდებიან მამაპაპისეულ სახლებსა და მიწა-წყალს.

* * *

ომის ტრაგედიასა და ოკუპაციაზე ჩვენი პასუხი მრავალ ასპექტს მოიცავს:

ჩვენი პასუხი გახლავთ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ქვეყანაში მშვიდობის შენარჩუნება და განვითარების უზრუნველყოფა. ამას მივაღწიეთ იმით, რომ მთლიანად ვასრულებთ 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების ფარგლებში აღებულ ვალდებულებებს; შესაბამისად, საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს არანაირი სამხედრო ძალა არ გვყავს განთავსებული.

აგრეთვე, საქართველომ ცალმხრივად თქვა უარი ძალის გამოყენებაზე.

ჩვენი პასუხია, ასევე, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოქალაქეებისკენ გაწვდილი ხელი – სამშვიდობო ინიციატივა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“, რაც საშუალებას აძლევს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოქალაქეებს (თუკი მათ ხელს არ უშლიან და არ უკრძალავენ), ხელი მიუწვდებოდეთ შეღავათებზე ჯანდაცვასა და განათლებაში; ისარგებლონ ბიზნესშესაძლებლობებით და, თუნდაც, მცირედი მონაწილეობა მიიღონ საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში.

* * *

ჩვენ გვჭირდება მოქმედებაც და დიპლომატიაც. ჩვენ უარი ვთქვით ძალის გამოყენებაზე, მაგრამ არ გვითქვამს უარი დიალოგზე. ჩვენ მოქნილები ვართ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ვურიგდებით არსებულ მდგომარეობას. ცვლილებები უნდა განხორციელდეს, მაგრამ ამას მარტო ვერ შევძლებთ. რეგიონში მდგრადი მშვიდობის მისაღწევად ყველას ჩართულობა გვჭირდება.

პირველ რიგში, საჭიროა არსებული ფორმატების პოლიტიკური განზომილების გაფართოება, რათა შესაძლებელი გახდეს არსებითი დისკუსიების გამართვა. აუცილებელია ექსპერტთა დისკუსიებიდან პოლიტიკურ მოლაპარაკებებზე გადასვლა. საჭირო იქნება ყველა მხარის პოლიტიკური ნება, რათა ჟენევის ფორმატი არა მხოლოდ კონფლიქტის მართვის, არამედ მისი გადაჭრის ინსტრუმენტი გახდეს. ასევე, აუცილებელია პოლიტიკური ნება, რომ, საჭიროების შემთხვევაში, შეიქმნას ახალი ფორმატები.

ნებისმიერი ფორმალური თუ არაფორმალური ფორუმი და დიალოგი უნდა იქნას გამოყენებული საიმისოდ, რომ რუსეთი ჩაერთოს დისკუსიებში ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების პირობების მკაცრად შესრულებასთან, ასევე, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიისთვის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით (როგორც ეს იყო შეთანხმებული). რადგან ჩვენი უმთავრესი პრიორიტეტი საოკუპაციო ხაზზე დეესკალაციის მიღწევაა, რამაც კონფლიქტის საბოლოო მოგვარებამდე უნდა მიგვიყვანოს.



* * *

სიღარიბის დაძლევა საქართველოს ყველა მთავრობისთვის უმთავრესი საზრუნავია. ჩვენი ქვეყანა ძალისხმევას არ იშურებს, რათა ეკონომიკის მოდერნიზაცია მოახდინოს და მსოფლიო ბაზრებზე ადგილის დასამკვიდრებლად დანერგოს საერთაშორისო სტანდარტები; ოპტიმალურად გამოიყენოს თავისი უნიკალური პოზიცია ევროპისა და აზიის ბაზრებს შორის (რომლებზეც მას თავისუფალი წვდომა აქვს). მდგრადი ეკონომიკური ზრდის კუთხით საქართველო სწორ გზაზე დგას. მაგრამ ჩვენ მეტის გაკეთება გვჭირდება.

განათლება და პროფესიონალიზმი უმნიშვნელოვანესი ფაქტორებია უმუშევრობისა და სიღარიბის დასაძლევად.

ჩვენ უკვე განვახორციელეთ განათლების სისტემის გარდაქმნისკენ მიმართული რიგი რეფორმები.

მეცნიერება და ტექნოლოგია, კვლევა და ინოვაცია მომავალი განვითარების საფუძველია. საქართველო უდიდეს ყურადღებას აქცევს განათლების სისტემის ინტერნაციონალიზაციას და ამ მიმართულებით წამყვან ევროპულ და ამერიკულ ინსტიტუტებთან თანამშრომლობს. ქართველი სტუდენტები სიხარულით უერთდებიან მსოფლიო სტუდენტურ საზოგადოებრიობას. 3600 სტუდენტმა უკვე მიიღო მონაწილეობა ერაზმუსის პროგრამაში.

* * *

მიგრაცია ჩვენი საერთო საქმეა, რომელიც ბევრ შიშსა და წუხილთან არის დაკავშირებული. იმის გამო, რომ ზოგიერთი ქვეყანა თავის სასიცოცხლო რესურსებს კარგავს – ტვინების გადინების, ახალი თაობის ქვეყნიდან გასვლის სახით, – ის წუხს თავის მომავალზე.

მოქალაქე, რომელიც ხედავს უცხოელი მიგრანტების მასობრივ შემოდინებას თავის ქვეყანაში, შიშობს, რომ ისინი მის სამუშაო ადგილს დაეუფლებიან და ქვეყნის ეროვნულ იდენტობას საფრთხეს შეუქმნიან.

ბევრი მიგრანტი ლეგალურად გადადის სხვა ქვეყანაში უკეთესი შესაძლებლობების საძიებლად. თუმცა, უმეტესობა არალეგალური მიგრანტია და იმ შესაძლებლობებს ეძებს, რომელსაც მისი ქვეყანა ვერ სთავაზობს. ბევრი მათგანი მშობლიურ ქვეყანას ომის, ნგრევისა და დევნის გამო ტოვებს.

ამასთან, მიგრანტების ახალი ტალღის მიზეზი სულ უფრო მეტად ხდება კლიმატის ცვლილება.

დღევანდელ საქართველოში, რომელიც იმიგრაციისა და ემიგრაციის წინაშე დგას, რომ აღარაფერი ვთქვათ 300 000 იძულებით გადაადგილებულ პირზე, აქტიურად ეძებს გამოსავალს. აუცილებელია არალეგალური მიგრაციის შემცირება იმისათვის, რომ არაფერი დაემუქროს ევროინტეგრაციის პროცესის უდიდეს სარგებელს – ვიზა-ლიბერალიზაციას.

უკონტროლო და დაურეგულირებელი მიგრაცია კვლავაც დარჩება იმ ძირითად ფაქტორად, რომელიც უარყოფით ზეგავლენას მოახდენს მშვიდობასა და სტაბილურობაზე.

* * *

მე წარმოვადგენ ქვეყანას, რომელსაც მითოლოგია, მედიცინის ქალღმერთის – მედეას წყალობით, ჯანმრთელობასა და მედიცინასთან აკავშირებს. შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ ჩვენ ტრადიციულად, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ჯანდაცვას.

არც ის არის გასაკვირი, რომ ჩვენ ბრწყინვალე ექიმები გვყვანან, რომელნიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მოღვაწეობენ. საქართველო უფრო და უფრო პოპულარული ხდება სამედიცინო ტურიზმისათვის. ჩვენ მდიდარი ვართ მრავალრიცხოვანი კურორტებით, რომელთა მოდერნიზაცია ამჟამად მიმდინარეობს.

ჯანმრთელობა ყოველი ადამიანის ხელშეუხებელი უფლებაა, და ჩვენი მიზანია, რომ სრულად უზრუნველყოფილი იყოს საყოველთაო, ხარისხიანი ჯანდაცვის სერვისები.

ჯანმრთელობას – ამ ხელშეუხებელ უფლებას დღეს საფრთხე ემუქრება მკურნალობასა და მედიკამენტებზე ფასების ზრდის გამო. თანამედროვე სამყაროში სულ უფრო მეტი დაავადების განკურნებაა შესაძლებელი, მედიცინა სასწაულებს ახდენს, მაგრამ ფასები მკვეთრად იზრდება და ტვირთად აწვება სოციალური საჭიროებებისთვის განკუთვნილ ბიუჯეტს, ჯანდაცვის სახელმწიფო სამსახურებსა და მოქალაქეების ფინანსურ შესაძლებლობებს.

2013 წელს საქართველომ ჯანმრთელობის საყოველთაო დაზღვევის სისტემის შემოღებით პოლიტიკური არჩევანი გააკეთა. ჯანდაცვაზე გამოყოფილი ბიუჯეტი, სხვა სფეროებთან შედარებით, სამჯერ გაიზარდა და დღეს ჩვენი მოქალაქეების 90 %-ს ხელი მიუწვდება პირველადი ჯანდაცვის მომსახურებაზე.

ამერიკის დაავადებათა კონტროლის ცენტრის, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისა და კერძო სექტორის მხარდაჭერით საქართველოში წარმატებით განხორციელდა C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა. შეიქმნა ქვეყნის მასშტაბით ქრონიკული დაავადების დაძლევის პრეცედენტი.

ჩვენ სხვა ბევრი სერიოზული გამოწვევაც გვაქვს. მეამაყება, რომ რამდენიმე დღის წინათ შედგა ბავშვთა ონკოლოგიური ცენტრის პრეზენტაცია, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო უჭერს მხარს. ვიმედოვნებთ, რომ ეს პროექტი საფუძვლად დაედება საერთაშორისო თანამშრომლობას საქართველოში.

* * *

საქართველო, როგორც კლიმატის ცვლილების შესახებ გაერთიანებული ერების ჩარჩოკონვენციის ხელმომწერი ქვეყანა, სრულად უჭერს მხარს კონვენციის მიზნებს; საქართველო აღიარებს გლობალურ დათბობასა და კლიმატის ცვლილებას და მოქმედებს კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი საექსპერტო ჯგუფის დასკვნების შესაბამისად.

შესაბამისად, საქართველომ, 2021-2030 წლების კლიმატის სამოქმედო გეგმის შემუშავების პარალელურად, განაახლა ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის დოკუმენტი – იმის უზრუნველსაყოფად, რომ 2030 წლისთვის სათბური გაზების დონე 40 %-ით ნაკლები იქნება 1990 წელს დაფიქსირებულ დონესთან შედარებით.

საქართველოს, ისევე, როგორც მრავალ სხვა პატარა ქვეყანას, არ აქვს მასშტაბური მრეწველობა, რასაც სათბური გაზების გამოყოფა ახლავს. მაგრამ ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს მსგავსად, ჩვენ ვგრძნობთ არსებულ ცვლილებებს და მათ მიმართ ადაპტირებას ვახდენთ. ჩვენი მიზანია, კლიმატის ცვლილების მიმართ მოქნილი ქვეყანა ავაშენოთ და შევამციროთ ამ მიზეზით გამოწვეული დანაკარგები.

საქართველო ბიომრავალფეროვნების უნიკალურ საგანძურს წარმოადგენს. იქ დიდი რაოდენობით ენდემური სახეობებია თავმოყრილი. ჩვენ კარგად გვესმის, რომ ეს უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობა და ბიომრავალფეროვნება ჩვენი პლანეტის მომავლისთვის უნდა შევინარჩუნოთ.

* * *

ჩვენ ერთიანი ძალისხმევით ვერ ვიბრძოლებთ, თუკი საერთო ღირებულებები არ გვექნება. დემოკრატია ერთ-ერთი ასეთი ღირებულებაა. დემოკრატია ის არის, რაც თითოეული მოქალაქის სრულფასოვანი ჩართულობის, ვალდებულებისა და პასუხისმგებლობის საშუალებას იძლევა გლობალური საფრთხეების წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში.

უკვე 28 წელი გავიდა, რაც საქართველომ დემოკრატიული გზით განვითარებაზე გააკეთა არჩევანი. ჩვენ თანდათან საპრეზიდენტო რესპუბლიკის მოდელიდან სრულ საპარლამენტო სისტემაზე გადავედით.

ძალაუფლების მშვიდობიანი გადაცემის გზით უფრო გამჭვირვალე და ღია საარჩევნო სისტემამდე მივედით. პროპორციული სისტემის დანერგვის შედეგად, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე შეიძლება კოალიციური მთავრობაც კი მივიღოთ.

პლურალისტული და ძლიერი მასმედია დღევანდელი საქართველოს რეალობაა. „ჟურნალიტები საზღვრებს გარეშე“ საქართველოს მე-60 ადგილს ანიჭებს და ეს შთამბეჭდავი პროგრესია ბოლო 7 წლის განმავლობაში, მაშინ, როდესაც საქართველო რეიტინგში 104-ე ადგილს იკავებდა. სტრასბურგის სასამართლოს ბოლო გადაწყვეტილება კიდევ უფრო ამყარებს საკუთრების უფლებას, მათ შორის მედიის სექტორში, რასაც შედეგად მეტი პლურალიზმი და ახალი მედიაარხების გახსნა მოჰყვა.

ახლა საქართველო სასამართლო რეფორმების მეოთხე ეტაპზეა. ამ რეფორმის მიზანია მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უფრო მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფა, სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლება და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დემოკრატიზაცია. ეს ყველაზე საფრთხილო და მნიშვნელოვანი ეტაპია და პარტნიორებისგან დამატებით დახმარებასა და მხარდაჭერას მოითხოვს.

პროგრესი უკვე აშკარაა და იგი ადვილად შეიძლება გაიზომოს: ბოლო 6 წლის განმავლობაში ადამიანის უფლებების სტრასბურგის სასამართლოში საქართველოს მოქალაქეების მიერ წარდგენილი საჩივრების რიცხვი 11-ჯერ შემცირდა – 4453-დან 415-მდე. „მსოფლიოს მართლმსაჯულების პროექტის“ მიერ 2019 წელს გამოქვეყნებული კანონის უზენაესობის ინდექსის კვლევის შედეგებით, საქართველო 126 სახელმწიფოს შორის 41-ე ადგილს იკავებს.

* * *

ადამიანმა მთავარზე დადგა ფეხი, და არასდროს უნდა დაგვავიწყდეს, თუ რამდენად რთული იყო ამ ოცნების განხორციელება; რამხელა ადამიანური, ფინანსური, სამეცნიერო რესურსები და რამდენი მსხვერპლი დასჭირდა ამას. მიუხედავად ამისა, ჩვენ ეს შევძელით!

მაგრამ დღეს სხვა გამოწვევის წინაშე ვდგავართ, სხვა ოცნება გვაქვს! ეს ყველაზე უფრო ამბიციური გლობალური პროგრამაა, რაც კაცობრიობას აქამდე შეუდგენია. ეს პროგრამა ორი სიტყვით შეიძლება ჩამოყალიბდეს: „დავუბრუნდეთ დედამიწას“!

ჩვენ, ყველას, ერთი პლანეტა გვერგო მემკვიდრეობად და ქართველებს ამ პლანეტაზე მშვიდად ცხოვრება გვსურს.

ყველას უნდა გვახსოვდეს: მხოლოდ ერთი ცხოვრება გვაქვს გასავლელი, და მხოლოდ ერთი პლანეტა გვაქვს გადასარჩენი!

ირაკლი სესიაშვილი: ზურაბიშვილისგან გაეროს ტრიბუნიდან მეტს ველოდი

სიმართლე გითხრათ, პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილისგან გაეროს ტრიბუნიდან მეტს ველოდი, — ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს პარლამენტის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი სესიაშვილმა განუცხადა. მისი თქმით, გაეროს გენერალურ ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლა ყოველთვის ღირებულია და თავისი მნიშვნელობის მატარებელია.

თეა წულუკიანი: პრეზიდენტმა საკმაოდ დეტალურად ამცნო მსოფლიოს, რა ყოფაში უწევთ ჩვენს მოქალაქეებს საოკუპაციო ხაზის გასწვრივ ცხოვრება

გამოსვლა, რომელიც საქართველოს პრეზიდენტს სალომე ზურაბიშვილს ჰქონდა გაეროს ტრიბუნიდან, ძალიან მნიშვნელოვანია ბოლო წლების განმავლობაში, რადგან ეს იყო საქართველოს პრეზიდენტის, ქალი პრეზიდენტის მიმართვა მსოფლიოს ქვეყნებისადმი.

წულუკიანის შეფასებით, სალომე ზურაბიშვილმა გამოსვლაში სათანადო ყურადღება დაუთმო ადამიანის უფლებების დარღვევებს, რომელიც საოკუპაციო ხაზის გასწვრივ ყოველდღიურად ხდება.

„მე ვფიქრობ, მან სათანადო ყურადღება დაუთმო ადამიანის უფლებების იმ მასობრივ და გაუგონარ დარღვევებს, რომელიც საოკუპაციო ხაზის გასწვრივ ყოველდღიურად ხდება. მან საკმაოდ დეტალურად, მაღალი ტრიბუნიდან ამცნო მსოფლიოს, ყველა ქვეყანას, ვინც ესწრებოდა, მათ შორის პრეზიდენტებს, პრემიერებს, საგარეო საქმეთა მინისტრებს, თუ რა ყოფაში უწევთ ჩვენს მოქალაქეებს საოკუპაციო ხაზის გასწვრივ ცხოვრება. თუ პრეზიდენტს ოპონენტებმა უნდა დაუთვალონ, რამდენჯერ ახსენა ზუსტად რუსეთი, მან ისაუბრა რუსეთზე, როგორც ოკუპაციის განმახორციელებელ სახელმწიფოზე, ამიტომ, ვფიქრობ, ეს ძალიან მნიშვნელოვანი გზავნილები იყო“...

დედაკაცმა გაიწია, მარა რა გაიწია!

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე ფიზიკური დაპირისპირება დამოუკიდებელ დეპუტატ ეკა ბესელიასა და უმრავლესობის წევრ ვანო ზარდიაშვილს შორის მოხდა. ეკა ბესელიამ ვანო ზარდიაშვილს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, მას სახეში დაარტყა.

სხდომაზე დროებით შესვენება გამოცხადდა. პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატს მირანდა ერემაძეს უსმენდნენ...

გიორგი გახარია: ყველა ინვესტორმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ვალდებულია, შეასრულოს სახელფასო ვალდებულებები

ყველა ინვესტორმა და დამსაქმებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ის ვალდებულია, სრულფასოვნად შეასრულოს, როგორც თავისი საფინანსო-სახელფასო ვალდებულებები, ასევე შეუქმნას თითოეულ დასაქმებულს შესაბამისი შრომითი პირობები, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ გუშინ მთავრობის სხდომის დაწყებისას განაცხადა.

პრემიერი მთავრობის სხდომაზე ტყიბულში განვითარებულ მოვლენებს გამოეხმაურა.

„დღეს საუბარს დავიწყებთ, პირველ რიგში, ტყიბულში განვითარებული მოვლენებით. ის, რაც დღეს და გუშინ ხდებოდა ტყიბულში, არის აბსოლუტურად მიუღებელი. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, ეს ის პრობლემებია, რაც დაგროვილია წლების განმავლობაში. ყველა ინვესტორმა და დამსაქმებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ის ვალდებულია, სრულფასოვნად შეასრულოს როგორც თავისი საფინანსო-სახელფასო ვალდებულებები, ასევე შეუქმნას თითოეულ დასაქმებულს შესაბამისი შრომითი პირობები, რაც გულისხმობს შრომითი უსაფრთხოების და ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების სრულ დაცვას. კიდევ ერთხელ ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ მიუღებელია, რაც დღეს ტყიბულში ხდება. მიუხედავად იმისა, რაც წლების განმავლობაში გროვდებოდა, მსგავს შემთხვევებს ჩვენს ქვეყანაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს“, — განაცხადა გიორგი გახარიამ. „საქნახშირის“ გენერალური დირექტორი აცხადებს, რომ ტყიბულელი მეშახტეებისთვის ხელფასის გაცემა, სავარაუდოდ, პარასკევიდან იქნება შესაძლებელი.

მეშახტეები ტყიბულისთვის მაღალმთიანი სტატუსის მინიჭებას მოითხოვენ

ტყიბულში, მეშახტეების საპროტესტო აქცია გუშინ ახალი მოთხოვნით განახლდა. მეშახტეები ხელისუფლებისგან ტყიბულისთვის მაღალმთიანი სტატუსის დაბრუნებას ითხოვენ.

როგორც აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა და მეშახტემ ხვიჩა გაბუნიამ „პირველ არხთან“ საუბრისას განაცხადა, მაღალმთიანი სტატუსის მინიჭება მოსახლეობას კომუნალური გადასახადების კუთხით შეღავათს მისცემს და რაიონის მოსახლეობას სოციალური პრობლემების ნაწილს მოუხსნის.

ტყიბულელი მეშახტეები 24 სექტემბრიდან საპორტესო აქციებს მართავენ და სახელფასო დავალიანების გასტუმრებას ითხოვენ. ამასთან, „საქნახშირის“ გენერალური დირექტორი აცხადებს, რომ ტყიბულელი მეშახტეებისთვის ხელფასის გაცემა, სავარაუდოდ, პარასკევიდან იქნება შესაძლებელი.

როგორც მთავრობის გუშინდელ სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ აღნიშნა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა ტყიბულში პრობლემების მოსაგვარებლად ჩავა.

ვალების განულების პროცესი ხაზარაძისებურად

არ მესმის, რატომ იწყებს პოლიტიკას ასეთი დიდი, მსუყე ტყუილით და სიმართლე გითხრათ, არც მაინტერესებს — ეს კომენტარი იავნე მაჭავარიანმა მამუკა ხაზარაძის იმ განცხადებაზე საპასუხოდ გააკეთა, რომლის მიხედვითაც „თიბისი ბანკის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი აცხადებს, რომ ვალების განულების პროგრამაში ჩართვაზე კომპანიების რეკეტი მაჭავარიანის კაბინეტში ხდებოდა.

როგორც ფინანსთა მინისტრმა აღნიშნა, ვალების განულების პროცესი გამჭირვალედ მიმდინარეობდა და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია გადაამოწმოს კომპანიებთან, განხორციელდა თუ არა მათზე ზეწოლა.

„მან თქვა, რომ ფინანსთა მინისტრის კაბინეტში ხდებოდა დარეკეტება და იძულება ბანკების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, რომ იძულებით დათანხმებოდნენ ვალების განულებას. არაერთხელ მომიწია ამ საკითხზე კომენტარის გაკეთება და მართლა სრულად ვიყავი ჩართული ამ პროცესში, რომელიც აბსოლუტურად გამჭვირვალედ მიდიოდა. იყო ძალიან ბევრი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და თითქმის ყველა ბანკი. ზოგიერთმა არც გამოხატა ინტერესი ამ პროგრამაზე, მაგალითად „პროკრედიტ ბანკმა“ და 14-15-მა მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ, შეგიძლიათ, გამოიძიოთ და ნახოთ, ვერც ერთს ვერ იპოვით, რომელსაც არათუ დაემუქრნენ ან ამის მერე რამე მოჰყვა, არც უთხოვია არავის და არც დაინტერესებულა, ხომ არ შეცვალეს გადაწყვეტილება.

ფინანსთა მინისტრის თქმით, გაუგებარია რაში დასჭირდა მამუკა ხაზარაძეს ასეთი ტყუილის თქმა.

„მე არ მესმის, რატომ იწყებს პოლიტიკას ასეთი დიდი, მსუყე ტყუილით და სიმართლე გითხრათ არ მაინტერესებს. ის, რაც ხდებოდა ჩემს კაბინეტში ადრე და მოხდება მომავალში, იქნება ერთადერთი — ერთი მხრივ პრობიზნეს გადაწყვეტილებები, მაგრამ იმავდროულად დაბალანსებული სახელმწიფო ინტერესის. მე მგონია, რომ ეს შუალედი ჩვენ გვიჭირავს და ისე ვიზამთ, რომ ბიზნესი იყოს მაქსიმალურად თავისუფალი, მაქსიმალურად კომფორტულად გრძნობდეს თავს, ოღონდ მარტივი დაშვებით, რომ გადასახადი უნდა გადაიხადოს ყველამ და მინიმალური ვალდებულებები შეასრულონ“, — განაცხადა მაჭავარიანმა.

MARSHALPRESS.GE

„ლელოს“ მორიგი 12 წევრი შეემატა...

მოძრაობა „ლელოს“ ლიდერმა მამუკა ხაზარაძემ გუშინ მოძრაობის მორიგი 12 წევრი წარადგინა.

ესენი არიან: **ადვოკატი ალექსი ბოლქვაძე, პოეტი ნიკა ჩერქეზიშვილი, ადვოკატი ამირან ფაჩუაშვილი, ხელოვნებათმცოდნე თამარ შავგულიძე, პედაგოგი მაია ჭიჭიაშვილი, გამომგონებელი ბექა მიქავა, გამომგონებელი ვახტანგ კონტრიძე, მხატვარი ქეთევან მატაბელი, კონსტიტუციონალისტი ნინო თელია, ექიმი ვასილ ჭეიშვილი,ჰიდროინჟინერი გიორგი წურწუმია, ფიზიკოსი თამაზ ბუთხუზი.**

მამუკა ხაზარაძეს ხალხის ფულით მოსამართლეები უცხოეთიდან ჩამოჰყავს...

მამუკა ხაზარაძე უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესს გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ახლა სასამართლო სისტემის გათეთრება მიმდინარეობს.

„მიმდინარეობს სასამართლოს ე.წ. გათეთრება, რომელიც ყოველთვის იყო საბჭოთა სისტემა, გადადიოდა ხელიდან ხელში. წინა ხელისუფლებიდან ეს სასამართლო სისტემა გადაიბარა დღევანდელმა ხელისუფლებამ. მთელი პასუხისმგებლობით ვლაპარაკობ, არანაირი ეკონომიკა, მომავალი, არანაირი ინოვაცია და ემიგრანტების უკან დაბრუნება არ იქნება, თუ სასამართლო სისტემა არ იქნა გამჭვირვალე და მართლმსაჯულება არ იქნა აყვანილი ისეთ მაღალ სტანდარტზე, რომელიც ამის საფუძველს შექმნის. ეს არის ილუზია, ფარსი, არალეგიტიმური პროცესი და ვინც ამაში მონაწილეობს, ყველა ამ არალეგიტიმური პროცესის მონაწილეა“, — განაცხადა მამუკა ხაზარაძემ. მოძრაობა „ლელოს“ დამფუძნებელმა აღნიშნა, რომ ქვეყნის განვითარება გამჭვირვალე სასამართლო სისტემით იწყება და იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში სუფთა რეპუტაციის მოსამართლეები არ მოიძებნებიან, ის მზად არის, ასეთი კადრები საზღვარგარეთ მოიძიოს.

„ქვეყნის განვითარება იწყება გამჭვირვალე, ევროპული სტანდარტის სასამართლო სისტემის დაფუძნებით და თუ ჩვენ არ გვეყოლება ასეთი მოსამართლეები, დროებით ჩამოვიყვანთ ასეთ მოსამართლეებს და ისეთ ადამიანებს, ვისაც აქვთ უცხოეთში ან აქ უმწიკვლო რეპუტაცია, მივცემთ საშუალებას, მათ შექმნან ასეთი სისტემა“, — განაცხადა მამუკა ხაზარაძემ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას.

ჩაძირული საფლავები... წითელი მიხაკები...

ნახევარ წელზე მეტი იყო გასული, რაც ჩემსავით უიღბლო ვარსკვლავზე გაჩენილ ადამიანებთან ერთად, გავხდი რუსეთის დედაქალაქ მოსკოვის დაუპატიჟებელი სტუმარი.

აქ ყოფნა მეტად მტკივნეული იყო ჩემთვის და ამის მიზეზი მქონდა — დანაშაულის შეგრძნებას ბადებდა ჩემში და საშინლად განვიცდიდი, რომ იმ მიწას დავადგი ფეხი, რომლის შვილები აქტიურად იბრძოდნენ აფხაზეთში უძველესი, ლეგენდადქცეული კოლხური ცივილიზაციის, ლაზიკა-ეგრისის მიწა-წყლის შთამომავალთა ამოსახოცად. მათთან ერთად ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოიჭრენ ათასი ჯურის პირსისხლიანი მკვლელები, რომლებიც ბარბაროსული ხერხებით შეურაცხყოფდნენ, აწამებდნენ და, შემდეგ ხოცავდნენ არა მარტო ჯარისკაცებს, არამედ მშვიდობიან მოსახლეობას — დიდსა და პატარას. ეს უკანასკნელნი უიარაღონი იყვნენ და შიშველი ხელებით თავს ვერ იცავდნენ სასტიკი მტრების მუხანათური თავდასხმებისაგან.

ომით მოტანილი გაუგონარი უბედურებები, რაც ხდებოდა ამ წარმტაც კუთხეში, რა თქმა უნდა, უმეტეს შემთხვევაში, გვემა-წამებით, სიცოცხლის მოსპობით თავდებოდა.

ომმა წამართვა უახლოესი ნათესავები, მეგობრები, კოლეგები. ამ შავ ფონზე, ბუნებრივია, ნაკლებად გამკრავდა აზრი საკუთარ, პირადულ დანაკარგებზე — ჩამქრალ კერასა და ყველაფერ იმაზე, რასაც ოჯახთან ერთად ათეული წლები ვქმნიდი. ადვილად არა, მაგრამ ვახერხებდი ამ დიდი საფიქრალისთვის თავი ამერიდებინა. სიმშვიდეს ვეძებდი, მაგრამ ვერ ვპოულობდი, რადგან ხშირად ახალ, ჯერ კიდევ მოუშუშებელ ტკივილებს უფრო მიმძაფრებდა ის, რომ უნებურად, გულითა და გონებით წარსულში გადავდიოდი — ჩემს მეხსიერებაში ცოცხლდებოდნენ სხვადასხვა დროის ისტორიული წყაროებიდან ამოკითხული და შეცნობილი ჩვენი ერის საუკეთესო შვილების მეტად ტრაგიკული ქრონიკები — XVII-XVIII საუკუნეების პირველ დევნილებზე, რომელთა შორის იყვნენ საქართველოს ხელისუფალნი და დიდებულნი, რომლებმაც ვერ გაუძლეს მეზობელი ყაჩაღი სახელმწიფოების უწყვეტ, უმოწყალო თავდასხმებს, შიდა აშლილობას, ღალატს და, როცა ქვეყანა ჩამოექცათ თავზე, მდგომარეობიდან გამოსასვლელ გზებს ჩრდილოეთში დაუწყეს ძებნა.

მრავალმხრივი იყო უცხო ქვეყანაში იმ დროის „ჩვენებურების“ საქმიანობა. ყველაფერში თვალსაჩინო წარმატებები ჰქონდათ. ამ მიმართულებით ისტორიული ექსკურსის აღება ძალიან შორს წაგვიყვანდა. ამიტომაც საკმარისად მიმაჩნია მარტო იმის აღნიშვნა, რომ დონის მონასტრის კომპლექსის მშენებლობაში ქართველებმა ისტორიული წვლილი შეიტანეს. „ყოვლი წმინდათა“ და წმინდა გიორგის სახელობის ტაძრები ხომ თავად აღმართეს, რომლებიც ამ უცხო მიწაზე, დღემდე ამაყად დგანან, როგორც სიკეთის, მშვიდობის მთესველი, მშენებელი ერის სიმბოლო.

ეს სამი წმინდა ადგილი ძალიან მიზიდავდა და, გარკვეულწილად, შინაგან სიმშვიდეს ბადებდა ჩემში, ამიტომაც შაბათ-კვირას მონაცვლეობით, ამ სულიერი სავანეებისკენ მივეშურებოდი; ორი მათგანი: — დონის მონასტერი და „ყოვლი წმინდათა“ ეკლესია, ხომ ჩვენი ღირსეულ წინაპართა საძვალეა. აქ განისვენებენ ბაგრატიონები, ციციანოვები (ციციშვილები) და სხვა გამორჩეული გვარის ადამიანები.

სამწუხაროდ, მათი საფლავების უმეტესი ნაწილი დანგრეულია და მოშლამდეა მისული; დაუყოვნებლივ აღდგენას საჭიროებს.

ეს საკითხი მოსკოვში დევნილობის სტატუსით ყოფნისას, ცნობილ ქართველ მწერალ დავით გაბუნიასთან ერთად არაერთხელ დავსვით „რუსეთში ქართველთა კავშირის“ წინაშე; სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კი — საქართველოს საპატრიარქო ჩავაყენეთ საქმის კურსში, მაგრამ ჯერჯერობით ამ მიმართულებით ნაკლებ ინტერესს იჩენენ. არადა, ასე მგონია, ამ მეტად მტკივნეული პრობლემის გადაწყვეტა ერის ღირსების საქმეა!...

* * *

სამი წმინდა ადგილი, რომლებზედაც თქვენი ყურადღება ზემოთ შევაჩერე, მთელი არსებით მიტაცებდა, ტკივილსაც ამიშლიდა და სიმშვიდესაც მმატებდა, რაც ასე მჭირდებოდა მაშინ. ამიტომაც ყოველ შაბათ-კვირას — ხან დონის მონასტერში ვიყავი, ხანაც „ყოვლი წმინდათა“ ეკლესიაში. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ჩემი მთავარი სულსაყუდელი, უპირველესად, მაინც წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია იყო, სადაც საუკუნეების მიღმაც, და ახლაც ქართულ ენაზე აღევლინება წირვა-ლოცვა.

აქ როცა მოდიხარ, თითქოს ხედავ ჩვენი წინაპრების სახეებს და ისეთი შეგრძნება გეუფლება, რომ მათთან ერთად ერთ სახურავქვეშ ანთებული სანთლით ხელში ღმერთს შესთხოვ წყალობას, აღავლენ ლოცვას მამულისთვის, ყველა დროის თავდადებულთა სულის მოსახსენიებლად.

* * *

დღეს, 1994 წლის გაზაფხულის პირველი შაბათია.

კვლავ მივუყვები „ბოლშაია გრუზინსკაიას“ ქუჩის აღმართს, რომლის ბოლოს გორაზე წმინდა სამლოცველო დგას.

წარსულსა და აწმყო-მომავალზე ჩუმი სევდით დატვირთულს, მომაცილებს რაღაცა უჩვეულო შეგრძნება — ქვეშეცნეულად ჩამესმის ქართველ წინაპარ დევნილთა ნათელი ნატერფალების ჩქამი... და უსაზღვრო მოკრძალებით, მოწიწებით ვდგამ ნაბიჯებს მათს ნათელ ნაფეხურებზე, რომელიც ვიცი, რომ, როგორც ყოველთვის, ახლაც ტაძრამდე მიმიყვანს. მაგრამ დღეს რატომღაც განსაკუთრებით ვღელავ და თავს ვერ ვიმშვიდებ; შინაგანად მიტრიალებს კითხვები: ოდესმე წერტილი დაესმება ომების ისტორიას? დადგება დრო, როცა შევიგნებთ — ვიცხოვროთ ბიბლიური კარნახით — „არა კაც კლა!“

გზადაგზა იმ აზრამდე მივდივარ, რომ ეს წუთისოფელი — ცოდო-ბრალის მუდმივი, ციკლური ტრიალია, სხვა არაფერი!...

* * *

სავალი ფიქრში გავლიე და აფორიაქებული გონებით მოულოდნელად მივადექი ეკლესიის ღია კარს.

მე რომ მივედი, წირვა უკვე დაწყებული იყო. ეკლესიის მოძღვრის ხმა შთამაგონებლად ჟღერდა. ხალხის სიღრმეში შეღწევა არ მიცდია. იქვე, კართან ახლოს შევჩერდი. რატომღაც, მოუსვენრობა დამეუფლა. ისეთი შეგრძნება მქონდა, გარეთ ვიღაც ახლობელი მელოდებოდა და უნდა შევხვედროდი.

წირვის დამთავრებამდე წამოსვლა უხერხული იყო, მაგრამ სულის სიღრმეში ისეთი ფორიაქი დამეწყო, რომ ვერ გავჩერდი. უცებ, თითქოს ხელი მკრეს, სწრაფად გადავაბიჯე ფართოდ გაღებულ ორმაგი კარის ზღურბლს და ჩქარი ნაბიჯით დავუყევი „ბოლშაია გრუზინსკაიას“ ქუჩის დაღმართს.

გუმანი ამიცხადდა — ფეხის ხმამ უნებურად შემაჩერა. გაუბედავად მოვიხედე უკან.

„არდაშელი!“ — წამოვიძახე; ჩემი აფხაზი ბიძაშვილი შემრჩა ხელში.

არდაშელი ადგილზე გაქვავდა.

— ვერ მიცანი? — მივმართე აღელვებულმა და მისკენ გავიწიე, მაგრამ თითქოს ფეხი არ მემორჩილებოდა. შევბარბაცდი, კინაღამ დავეცი. არდაშელი გამშრალი იდგა. ორივე დამნაშავესავით შევყურებდით ერთმანეთს. ეს იყო წამიერი რეაქცია. მალე შინაგანმა ნათესაურმა გრძნობამ გაარღვია ყინული.

„ჩვენ არაფერი დაგვიშავებია!“ — თითქმის ერთდროულად ტირილით ამოვიბღავლეთ ორივემ და ერთმანეთს გადავეხვიეთ.

დიდხანს ვიმშვიდებდით თავს. მერე იქვე ახლოს, ყვავილნართან, ვერცხლისფერი არყის ხის ძირას გრძელ სკამზე ჩამოვჯექით. ომის მძიმე დღეები გავიხსენეთ.

არდაშელი ახლა ჩემს პოზიციაზე იყო. მას უკვე შეეგნო, რომ მესამე ძალის მიერ ინსპირირებული ძმათა ხოცვა-ულეტა მზაკვრული ჩანაფიქრი იყო, რომელმაც ათასობით ერთი მიწის შვილები შეიწირა.

— ვფიქრობ, ეს ე.წ. გამარჯვება, სამწუხაროდ, დიდ ვერაფერს მოუტანს ჩემს პატარა ერს, მის ეთნიკურ მეობას. მეშინია, მალე გავითქვიფოთ, დავკარგოთ ენა, შინაგანი და გარეგნული ინდივიდუალობა. ჩვენ კი ამისთვის ვღვარეთ სისხლი? — ტკივილიანი ხმით დაამთავრა საუბარი არდაშელმა და სახე საშინლად აემღვრა; რაღაც უნდობლობა ჩასდგომოდა თვალებში. უცებ ჩემს მხრებზე ნათესაური სითბოთი დადებული ხელები აუცახცახდა და ძირს ჩამოუცვივდა. ზომაზე მეტად აღელდა, ანერვიულდა.

— ღვთის გულისთვის დაწყნარდი! — ვუთხარი ნაძალადევი სიმშვიდით და ორივე ხელი დავუჭირე, თანაგრძნობით მოვეფერე.

არდაშელი დიდხანს იჯდა კოპშეკრული, ფერშეცვლილი. მე უბრად ვიყავი. ორივე ერთად უკვე კარგად ვგრძნობდით, რომ აფხაზეთში მოძმეთა შორის დატრიალებული ტრაგედია უაზრობა იყო, რომელსაც დიდი მსხვერპლი მოჰყვა და არავინ იცოდა, შორეულ მომავალში რას მოიტანდა, რა შედეგი მოჰყვებოდა. ამიტომაც შიშობდა არდაშელი, რასაც მეც მასზე ნაკლებად არ ვგრძნობდი.

კარგა ხანს ვიჯექით ჩუმად, ტკივილებით დატვირთულები. კიდევ ოცი წუთი და არდაშელს უნდა გამოვთხოვებოდი. უცებ აზრი მომივიდა, მისთვის სიმბოლურად ყვავილები გამეტანებინა იმ თვითმფრინავის მგზავრთა სულის მოსახსენიებლად, რომლებიც მოწინააღმდეგეთა შორის მშვიდობიანი შეთანხმებით დაიმედებულნი, ბრუნდებოდნენ საკუთარ ოჯახებში და რუსული რაკეტების ვერაგული მოქმედების მსხვერპლნი გახდნენ. ისინი ზღვის ტალღებმა შთანთქეს. მის ფსკერზე დაიდეს ბინა; თვალუწვდენელ სიღრმეში ჩაიძირა მათი საფლავები. დაღუპულთა შორის იყვნენ ჩვენი საერთო ნათესავებიც. ამ დიდი ტრაგედიის გახსენებამ ორივე სულით ხორცამდე შეგვძრა.

არდაშელი დამეთანხმა და დამპირდა, ამ ტკივილიან სურვილს შემისრულებდა.

შორს წასვლა არ დამჭირვებია. იქვე ახლოს ყვავილების ფარდული იდგა; მივირბინე და ამოვარჩიე წითელი მიხაკები. არდაშელს მისი წაღება რომ გაადვილებოდა, ღეროები დაბალზე დავაჭერი, თავები სამ-სამ ცალად პატარ-პატარა თაიგულებად შევკონე, პარკში ჩავუდე და ვთხოვე, ჩასვლისთანავე ისინი დაღუპულთა სახელით შავ ზღვაში ჩაეშვა.

უხმოდ ვიდექით. შინაგანად ვგრძნობდით, რომ ჩვენ შორის ჩამდგარიყო კითხვა: „რა გვქონდა გასაყოფი?“

ამაზე რა თქმა უნდა, ორივე ვფიქრობდით, მაგრამ პასუხი არ გვქონდა და ვდუმდით.

* * *

გამომშვიდობების დროც დადგა; უფრო დაწმენდილი და უხინჯო მეჩვენა ჩემი ბიძაშვილის ღრმა, დიდრონი თაფლისფერი თვალები, რომლებიც როგორც ბავშვობაში შემინიშნავს, ნელ-ნელა ევსებოდა სითბოთი და სიკეთით. ერთგვარი სიმშვიდე ვიგრძენი.

გაგვიჭირდა გამოთხოვება; თვალებში ცრემლჩამდგარნი დავშორდით ერთმანეთს. სანამ არდაშელი თვალს არ მიეფარა, ფეხი არ გადამიდგამს. სინანულით გავყურებდი ნელი ნაბიჯით მიმავალს...

* * *

გზა სახლისკენ არ გამიგრძელებია; უკან, ეკლესიისკენ ავიღე გეზი.

წირვა უკვე დამთავრებულიყო. მორწმუნე ქალები ანთებულ სანთლებს, რაღაც, ჩემთვის გაუგებარი ჩურჩულით, თავს დასტრიალებდნენ; ჩაქრობის საშუალებას არ აძლევდნენ. ვინ იცის, ვინ ვისზე რას ჩაუთქვამდა. ვინ ვის მოიხსენიებდა: ვინ ვის სახელზე ლოცულობდა. ყველა თავისი საფიქრალით იყო გართული; თავისი დარდი და სიხარული ჰქონდა.

არავის გამოვლაპარაკებივარ, თუმცა ბევრი იყო ნაცნობი. მეც ჩემთვის დიდი სანთელი ვიყიდე და ავანთე აფხაზეთში დაღუპულთა სულის მოსახსენიებლად. დღეს ცოცხლებზე ფიქრის თავი არ მქონდა.

დიდხანს ვიდექი უხმოდ. თავში ათასი აზრი მიტრიალებდა. რამდენიმე წუთში ოცნებით მოვიარე წინაპართა საფლავები — ლიხნი, მოქვი, ბედია, ილორი... ამ ტაძრებში ყველგან ამინთია სანთლები და საკმევლის სუნი მიგრძნია. მომენატრა ჩემი მშობლიური, ღვთისმადლცხებული მიწა, სადაც ახლა სხვადასხვა ტომის მოძალადეები დათარეშობენ და ტკივილი მომეძალა.

* * *

უნებლიეთ თვალი შევავლე წმინდა გიორგის ეკლესიის ბიბლიური სიუჟეტებით მოხატულ კედლებს; მზერა ზევით, ცენტრისკენ გადავიტანე. მომეჩვენა, თითქოს, გუმბათი იხსნებოდა და ფართოვდებოდა... სულ მაღლა კი, ლურჯი ცა ზღვასავით ღელავდა. ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს, შავი ზღვის სანაპიროზე არდაშელთან ერთად ვიდექი და მასთან ერთად წყალში ვუშვებდი წითელი მიხაკების პატარ-პატარა თაიგულებს, რუსული რაკეტებით ჩამოგდებული თვითმფრინავის მგზავრების სულის მოსახსენიებლად. მათ შორის, საუბედუროდ, ჩვენი ახლო მეზობლის შუქრი გუნიას ვაჟი მერაბიც იყო.

როცა გამოვერკვიე, ტაძარში კვლავ

უამრავი სანთელი ღვიოდა; ჩაღვენთილიყო დიდი კელაპტარი, რომელიც აფხაზეთის ომში დაღუპულთა სახელზე ავანთე.

* * *

ეკლესიიდან ფეხაკრეფით გამოვედი ვინმეს ყურადღება რომ არ მიმექცია, გულის კარნახით დავადექი გზას „ყოვლი წმინდათა“ ტაძრისკენ.

ისტორიულ წყაროებში ნათქვამია, რომ 1732 წელს არჩილ მეფის ასულმა დარეჯანმა სოფელ ვსესვიატსკოეში ხის ძველი ტაძრის ნაცვლად აღმართა კაპიტალური, არქიტექტურულად საინტერესო შენობა, რომელიც დღესაც ხიბლავს მნახველებს.

ტრანსპორტით სულ 15-20 წუთის სავალი მაშორებდა ტაძარს, რომელიც მეტრო „სოკოლთან“ ძალიან ახლოს დგას. ეკლესიის ეზოში ბაგრატიონთა გვარის არაერთი სახელოვანი წარმომადგენელი განისვენებს. დიახ, ტაძრის შიგნით და გარეთ ქართველ დიდგვაროვანთა სამარხებია, რომელთა ნაწილი კვალის წაშლამდეა მისული. სამწუხაროდ, ამ მიზნით უკანასკნელ პერიოდში ხელოვნურად ჩარევის შემთხვევებიც შეინიშნება.

ასე მეჩვენება, ირგვლივ ყველაფერი მშობლიური იდუმალებით არის მოცული, ალბათ, ამიტომაც ჩვევად გადამექცა აქ ხშირად მოსვლა. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც შინაგანად აშლილ საფიქრალ-სადარდებელს ვერ ვიცხროზ. ასეთი განწყობისას, როგორც კი მოკრძალებით შევდგამ ფეხს სამლოცველოში, კელაპტარს ავანთებ, მოგონებებში ვიძირები და შთაგონებით ველოდები მის ჩაღვენთას, ასეთ ვითარებაში ძლივს ვპოულობდი მცირედი სიმშვიდის შეგრძნებას, რაც ასე უცხო იყო ჩემთვის ბოლო ხანებში.

* * *

ეკლესიიდან გვიან გამოვედი. კარგად შეღამებულზე დავბრუნდი სახლში. არ მივახშმია; გაუხდელად მივწექი ლოგინზე. განვლილი დღის განცდებით დამძიმებული გულის სიღრმეში მოგანგაშე ტკივილებს ვერ ვიყუჩებდი.

უძილობით მოთენთილს ამეკვიატა დიდი ესპანელი პოეტის რაფაელ ალბერტის ნააზრევი: „დევნილი კაცის ყველა საათი მარადისობის ტოლია თითქმის...“ და, როგორც იტყვიან: „მთელი ღამე თეთრად გავათენე“.

* * *

...ჩემი ბიძაშვილი არდაშელის აფხაზეთში გაფრენიდან ეს მერამდენე წელი მიილია. დღემდე თან მსდევს და მოსვენებას არ მაძლევს კითხვა: შეასრულა კი, რაც მე ვთხოვე? — ჩაუშვა შავ ზღვაში წითელი მიხაკები თანამემამულეების ჩაძირული საფლავებისთვის?!

* * *

ამაზე, ალბათ, თვითონ გამცემს პასუხს, თუ მიიღბლა და ოდესმე შევხვდი!

P. S. ძვირფასო მკითხველო, რაც მოგითხრეთ, ეს იყო გუშინ. დღეს მე ჩემს ქვეყანაში ვარ! დიდი ხანია, სამშობლოში დავბრუნდი. შევუერთდი ომით ცხოვრებაგანადგურებულ, ჯერ კიდევ უსახლკაროდ დარჩენილ მრავალრიცხოვან დევნილთა ე.წ. „ნაცრისფერ მასას“, რომელთა გარკვეულ ნაწილს, მიუხედავად იმისა, რომ ომის კოშმარული უბედურებიდან ორ ათეულ წელზე გაცილებით მეტი დრო გვაშორებს, ჯერ კიდევ არ ეღირსათ მინიმალური ბინა-თავშესაფარი.

არადა, ბევრმა დევნილმა ბინა მიიღო. მადლობის მეტი რა გვეთქმის, მაგრამ... 25 წელიწადში უფრო მეტი უნდა გაკეთებულიყო, ხელისუფლებამ ჩვენს გაუსაძლის ყოფაზე ყოველდღიურად უნდა იფიქროს.

იფიქროს და იმოქმედოს!

დონა კოლხი — დოდო ნარმანია

558-340-771

მშობლიური მიწა

გიორგი ქვის ჯებირზე ავიდა, მდინარეს გადახედა, ენგური ადიდებულიყო. აქ საზღვარია. მტერმა ქართულ მიწას გული დაუსერა და მავთულხლართები გაავლო. მან ნისლში მცურავ სოფელს გადახედა. ქარმა მაგნოლიებისა და პალმების სურნელი მოიტანა. თვალებზე ცრემლი მოადგა. ფიქრმა გაიტაცა. ახსოვს ის დღე, როდესაც მტერმა მოსახლეობა ცხვრის ფარასავით გარეკა და მშობლიურის სახლი დაატოვებინა. ხშირად თავი საფრთხეში ჩაუგდია, რომ საკუთარი სახლი ენახა. ახლა ამას ვერ ახერხებს, რადგან მტერი ქართულ მიწას ისე დაეპატრონა, როგორც „გველეშაპი ოქროს საგანძურს“.

ენგურის ხიდთან დევნილები ხშირად იკრიბებიან, ბჭობენ, თათბირობენ. ვერ ისვენებს მათი თავისუფლებისმოყვარე სული. ვერ ეგუებიან „ფეხზე ბორკილებს“. სიბრაზისგან თვალები გასწითლებიათ... ორ ათეულ წელზე მეტი გავიდა, მაგრამ ისევ ელიან აფხაზეთში დაბრუნებას. ამ რწმენით და იმედით ცხოვრობენ. სჯერათ, რომ უსაზღვრო არ იქნება მათი მოლოდინი. მოვა დრო და გაღმა ნაპირზე ისევ შესძლებენ ცხოვრებას, ისევ გაიგონებენ ქართულ ენას. ვერ მოისვენებენ მანამ, სანამ მშობლიურ მიწას არ დაიბრუნებენ.

აქ საზღვარზე უჩვეულო ამბები ხდება. გუშინ მიცვალებული გადმოასვენეს. ნათესავებს უფლება არ მისცეს, საზღვარზე გადმოსულიყვნენ. ამ შემთხვევის მომსწრე რუს ჯარისკაცს უთქვამს: „როგორ ჰყვარებიათ ქართველებს მშობლიური მიწა, სიცოცხლეში უფლება არ მივეცით აქ ეცხოვრათ, მაგრამ მკვდრები თავიანთ მიწას უბრუნდებიან“... მდინარის სანაპიროზე ხშირად ნახავთ შაოსან ქალებს, მკერდზე მიცვალებულის სურათი აქვთ მიხუტებული და ტირიან. ორმოცს და წლისთავს კი გაღმა ნაპირზე უხდიან.

გიორგიმ ცას შეხედა. მერცხლები სამხრეთისაკენ მიფრინავდნენ. ისინი გაზაფხულზე დაბრუნდებიან მშობლიურ მხარეში... ჩვენც დავბრუნდებით...

იმედიანი ღიმილით გაუდგა გიორგი გზას შინისკენ.

ემა ძანძავა,
დევნილი აფხაზეთიდან

ცრემლი

მოკლეს ბიძინა, კაი ყმა და კაი ქართველი

სოხუმის დაცემის დღეს თავისივე ეზოში მოკლულ ბიძინა მგალობლიშვილის ხსოვნას



მოკლეს ბიძინა, კაი ყმა და კაი ქართველი,
არ შეიბრალეს, ცრემლად იქცა ჩვენი მთაველი
მოკლეს ბიძინა, ერისკაცი, სხვათა მფარველი
შეიკრნენ ერთად მოღალატე თანამძრახველნი.

წაღმა ნახნავი სულ უკუღმა დახნეს, დაფარცხეს,
სიყვარული და სათნოება ძირს დაანარცხეს,
აღზევდა გველი, გველეშაპი, კაცის მჭამელი
და გადაყლაპა ჩვენი წილი ზღვა, მთა და ველი...

და დავრჩით გარეთ, გამოყრილი, უსახლკარონი,
აღარ გვეფრქვევა ზეციური მადლის მირონი.
ბიძინას მკვლელი ვის დაინდობს აღარვის სჯერა,
მზე ჯერ არ მზეობს, ღრუბლიანში ვისჯებით ჯერაც.

მოკლეს ბიძინა, კაი ყმა და კაი ქართველი,
არ შეიბრალეს, ცრემლად იქცა ჩვენი მთაველი,
მოკლეს ბიძინა...

ნათელა მამარდაშვილი

ჩვენ ვაგრძელებთ თქვენი სუვერენიტეტის მხარდაჭერას

არასდროს შევურიგდებით ყირიმის უკანონო ანექსიას, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაციას — ამის შესახებ

გაეროს გენერალური ასამბლეის 74-ე სესიაზე გამოსვლისას ლიეტუვის პრეზიდენტმა გიტანას ნაუსედამ განაცხადა.

„ჩვენ ვაგრძელებთ საქართველოსა და უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერას. არასდროს შევურიგდებით ყირიმის უკანონო ანექსიას, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაციას“, — თქვა გიტანას ნაუსედამ.

საქართველოსა და თურქეთის სასაზღვრო ქვედანაყოფების ერთობლივი წვრთნა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტისა და თურქეთის რესპუბლიკის სასაზღვრო ქვედანაყოფის ერთობლივი წვრთნა თურქეთში, „მურათლის“ სასაზღვრო სექტორზე გაიმართა.

საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ინფორმაციით, სწავლებაში სასაზღვრო პოლიციის №1 სამმართველოს (ბათუმი) და თურქეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სასაზღვრო ბატალიონის ტაქტიკური ოცეულები მონაწილეობდნენ.

„ღონისძიების მიზანი იყო ორი ქვეყნის სასაზღვრო ქვედანაყოფებს შორის საზღვრის დაცვის მიმართულებით საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება და საზღვრის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებში კოორდინირებული მოქმედებების დახვეწა.

ერთობლივი წვრთნა თურქეთ-საქართველოს ორმხრივი სამხედრო თანამშრომლობის 2019 წლის გეგმის ფარგლებში გაიმართა. მსგავსი ტიპის სწავლებები საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის რეგულარულად, ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ტარდება.

გაყალბებული ისტორია ჰეგემონისტური პოლიტიკის სამსახურში

ა. ეპიფანცევი სვამს კითხვას: **ირანისა და ოსმალეთის ლაშქრობები საქართველოში, მოსახლეობის დასჯა და განადგურება ნამდვილად იყო თუ არა?** ავტორი „კეთილგანწყობილებას“ იჩენს დღევანდელი ქართველობის მიმართ და კითხვას, რომლის პასუხიც საყოველთაოდაა ცნობილი, მოკლედ პასუხობს: **„მე გეტყვით თქვენ — იყო“**. იმდენად იაფფასიანი ხერხია, რომ ღიმილს იწვევს. მას შემდეგ, რაც თავისი პასუხით ქართველები საშვილიშვილოდ დაგვავალა, ავტორი ისევ ადრე დაწყებულ საძრახ საქმეს აგრძელებს. სტატიაში ვკითხულობთ: **„საქმე ის არის, რომ იმდროინდელი (XVI-XVIII სს. — ვ. გ.) საზოგადოების ზნეობა სავსებით არ ჰგავს ჩვენი საზოგადოების ზნეობას. პრობლემებს, რომელთაც ამჟამად ჩვენ ვწყვეტთ სასამართლოს გზით, საპროტესტო ნოტებით, ბოლოს და ბოლოს, ცენტრალური ხელისუფლების მრისხანე შეძახილით, იმხანად მივყავდით ომებამდე და სისხლიან ანგარიშსწორებამდე. იმ დროს პრობლემის გადაჭრისას საერთოდ ასე ექცეოდნენ ადამიანებს, მთელ პროვინციებს. ამასთან ერთად, ხელისუფალნი მკაცრად ეპყრობოდნენ არა მარტო სხვა აღმსარებლობის ან დამორჩილებულ ხალხებს, არამედ საკუთარ თანატომელებსაც... აღმოსავლეთის დესპოტური ქვეყნები, როგორებიც იყვნენ თურქეთი და ირანი, ამ შემთხვევაში აშკარა ლიდერები არ იყვნენ. ამ თვალსაზრისით განათლებულ ევროპას შეეძლო ფორა მიეცა აღმოსავლეთისათვის. ასე მაგალითად, ჰენრი VIII ინგლისელმა ... სიკვდილით დასაჯა 72 ათასი კაცი, მისმა ქალიშვილმა ელისაბედ ინგლისელმა — „ინგლისელი ერის ბებიამ“ — სიკვდილით დასაჯა 90 ათასი კაცი, ჰერცოგმა ალბამ ჰოლანდიაში ომის დროს დახოცა 30 ათასი კაცი... ყოველივე ამას მათთვის ხელი არ შეუშლია ისტორიაში შესულიყვნენ როგორც ცნობილი, გამოჩენილი პიროვნებები, ისევე, როგორც ხელი არ შეუშლია შაჰ აბასისათვის ისტორიაში შესულიყო, როგორც თავისი დროის განათლებული ადამიანი, დახვეწილი დიპლომატი, მეცნიერებისა და ტექნიკის სიახლეების მხარდამჭერი“.**

ესეც ა. ეპიფანცევის მორიგი აღმოჩენა! თურმე შაჰ აბასს 1614-1617 წლებში ქართველობა რომ ამოუწყვეტია, ხოლო 200 ათასი ირანში გადაუსახლებია, ეს იმდროინდელი საზოგადოების ზნეობით დასაშვები ყოფილა და ჩვენ უგანათლებულესი შაჰის მადლობელი უნდა ვიყოთ, რომ კიდევ ბევრი ქართველი არ ამოწყვიტა და უფრო მეტი არ გადაასახლა ირანში! შეიძლება, სხვა კუთხით შევხედოთ ავტორის თავგამოდებულ მცდელობას, გაამართლოს ირანის შაჰებისა და ოსმალეთის სულთნების ნებით ათიათასობით ქართველისათვის სიცოცხლის მოსპობა. სტატიის ავტორი გრძნობს, რომ ვინმე სამომავლოდ დაუსვამს კითხვას: რამდენი ქართველი დახოცეს რუსებმა 1804 წლის ქართლის მთიანეთის, 1812 წლის კახეთის, 1819-1820 წლების იმერეთის, 1841 წლის გურიის აჯანყების დროს? რატომ დახოცეს სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველები? ა. ეპიფანცევს პასუხი წინასწარ ექნება მზად: იმდროინდელი საზოგადოების ზნეობისათვის ეს სულაც არ იყო მიუღებელი. საინტერესოა, ამართლებს თუ არა სტატიის ავტორი „იმდროინდელი საზოგადოების ზნეობით“, მაგალითად, ხაზარების, ყივჩაღების, მონღოლების ან პოლონელების მიერ რუსეთში დატრიალებულ ხოცვა-ჟლეტას, ათიათასობით სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლი რუსის გაჟლეტას.

ერეკლე II

მასობრივი ხოცვა-ჟლეტის გამართლება ა. ეპიფანცევს თურმე არა ირანის შაჰების დასაცავად, არამედ სულ სხვა მიზნით სჭირდებოდა. ნელნელა ჩვენი ნოვატორი ავტორი მთავარ სათქმელს უახლოვდება. სტატიაში ვკითხულობთ: **„საქართველოს ყოფა ირანისა და ოსმალეთის იმპერიებში არც თუ ისე ცუდი იყო. თუ წარმოვიდგენთ, რომ რაღაც ფანტასტიკური ძალით ქართველები რომელიმე იმდროინდელი ევროპული ზესახელმწიფოს საზღვრებში აღმოჩენილიყვნენ, მათ იგივე და შეიძლება უარესიც ელოდათ“**. ამ ციტატის ლოგიკური გაგრძელება იქნებოდა მოწოდება: ქართველებო! ნუ ეძებთ შველას ევროპაში! ამას ა. ეპიფანცევი მხოლოდ იმიტომ არ აკეთებს, რომ არ უნდა გასცეს თავისი სტატიის დამკვეთი. თუმცა ყველაფერი ისედაც ცხადია. ნათქვამის დასამტკიცებლად ავტორს არანაირი მასალა არ მოაქვს. ბუნებრივად იბადება კითხვა: ფერეიდნელი ქართველები უკეთ გრძნობდნენ თავს ირანის სახელმწიფოში თუ უნგრელები, სერბები და პოლონელები ავსტრიის სახელმწიფოში? ამ კითხვაზე პასუხი ა. ეპიფანცევისათვის მიგვინდია.

ნადირ შაჰი

აღა მაჰმად ხანი

ამასიის ზავით (1555 წ.), როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ირანმა და ოსმალეთმა საქართველოს ტერიტორია გადაინაწილეს. გადანაწილება ძალაში დატოვა XVI-XVII საუკუნეებში ირან-ოსმალეთის ომების პერიოდში დადებულმა სხვა ზავებმაც. ა. ეპიფანცევი გვარწმუნებს, რომ საქართველოს ისტორიული ტერიტორიის ორ ისლამურ იმპერიას შორის გადანაწილება ქართველების გადარჩენის საფუძველი გამხდარა. სტატიაში ვკითხულობთ: **„ორ ცენტრს შორის ყოფნა ქართველ მეფეებს გარკვეულ უპირატესობასაც კი ანიჭებდა. ხშირად, თუმცა ზოგჯერ წარუმატებლად, საქართველოს ინტერესებისათვის ბრძოლისას ისინი შუბლით შეაჯახებდნენ ხოლმე სპარსელებსა და თურქებს, რითაც პირადად თავიანთთვის და ქვეყნისთვის პრივილეგიებს იღებდნენ“**. ცოტა ქვემოთ ავტორი აგრძელებს: **„ორ ცენტრს შორის არსებობის უმთავრესი უპირატესობა ის იყო, რომ ირანთან კავშირი საქართველოს ნაწილს იცავდა თურქების თავდასხმისაგან, ხოლო თურქეთთან კავშირი საქართველოს ნაწილს იცავდა სპარსელების თავდასხმისაგან. დამყარებული პარიტეტი — რთული, მრავალწახნაგოვანი, მაგრამ ეფექტური სისტემა, რომელიც 200 წელზე მეტხანს მოქმედებდა, ბევრწილად დაეხმარა ქართველობას, რომ იგი როგორც ერი გადარჩენილიყო“**. ამდენად, ა. ეპიფანცევი გვარწმუნებს: ირანსა და ოსმალეთს საქართველო რომ არ დაეპყროთ და მისი ტერიტორია არ გადაენაწილებინათ, ქართველობა ალბათ ვერ გადარჩებოდაო. აი, ვის უნდა ვუმადლოდეთ თურმე გადარჩენას! ორ მტრულ ძალას შორის ლავირება და ამ გზით ქვეყნის გადარჩენა ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოების თემაა. თუმცა ბავშვებს იმასაც ასწავლიან, რომ ირანსა და ოსმალეთს შორის ლავირება და შაჰისა და სულთნის „შუბლით შეჯახება“ ადვილი საქმე არ იყო.

ირანის შაჰები და ოსმალეთის სულთნები ისეთი გულუბრყვილონი არ იყვნენ, რომ ქართველ მეფე-მთავართა დიპლომატიური სვლები ვერ ამოეცნოთ. ირანსა და ოსმალეთს შორის ლავირება ცუდად დაუმთავრდა ქართლის მეფეებს ლუარსაბ I-სა და სვიმონ I-ს. ლავირების პოლიტიკამ წარმატება მოუტანა კახეთის მეფეს ლევანს, მაგრამ დაღუპა მისი შვილი ალექსანდრე II. ირანს, ოსმალეთსა და რუსეთს შორის ლავირებამ დაღუპა ქართლის მეფე ვახტანგ VI და ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II. საერთოდ, XVI-XVIII საუკუნეებში ირანსა და ოსმალეთს შორის ქართველი მეფე-მთავრების ლავირების პოლიტიკა, რომელიც ლამის საქართველოს ხსნის მიზეზად გამოაცხადა ა. ეპიფანცევმა, უმეტეს შემთხვევაში, საბოლოო ჯამში, წარუმატებელი იყო.

ა. ეპიფანცევი სავსებით სწორად აღნიშნავს, რომ XVII საუკუნეში ირანი და ოსმალეთი დასუსტნდენ. ოსმალეთი მარცხს მარცხზე განიცდიდა ევროპაში, ხოლო ირანში შინააშლილობა დაიწყო. საინტერესოა ავტორის აზრი იმის თაობაზე, თუ რა პოლიტიკა აირჩიეს ასეთ ვითარებაში ქართველებმა. სტატიაში ვკითხულობთ: **„ქართველები მზად იყვნენ, უცხოტომელთა ჩაგვრის პირობებში ეცხოვრათ, მოეხდინათ მჩაგვრელთა მიმართ ლოიალობის დემონსტრირება, ეხადათ ხარკი, მიეღოთ პრივილეგიები, ეხლართათ ინტრიგები უცხო სახელმწიფოთა კარზე იმ შემთხვევაში, თუ უცხოტომელი დამპყრობლები ძლიერნი იქნებოდნენ. პატრონი ძლიერი უნდა იყოს — ეს კანონია. დაე, პატრონს ჰქონოდა ცუდი ჩვევები, მაგრამ იგი უნდა ყოფილიყო იმდენად ძლიერი, რომ უზრუნველეყო საქართველოს გლობალური უსაფრთხოება“**.

ავტორის აზრით, ასეთი იყო „საქართველოს ქცევის მოდელი უკანასკნელი 500 წლის მანძილზე“. მადლობელი უნდა ვიყოთ ქართველები ა. ეპიფანცევისა, რომელიც ქართველებს სავსებით ცხადად მიგვანიშნებს იმაზე, რომ არ უნდა დავივიწყოთ წინაპრების ტრადიცია.

ზემოთ მოტანილი დასკვნა ავტორს იმისთვის დასჭირდა, რომ დღევანდელი ქართველობისათვის ეთქვა: ქართველებო! რატომ ეძებთ „ძლიერ“ და „კარგი“ თვისებების“ მქონე პატრონს, თქვენი წინაპრები 500 წლის განმავლობაში შესანიშნავად გრძნობდნენ თავს ძლიერი, მაგრამ „ცუდი თვისებების“ მქონე პატრონის ხელში, ანუ, თუ არჩევანი უნდა მოხდეს ძლიერ და „კარგი თვისებების“ მქონე და ძლიერ და „ცუდი თვისებების“ მქონე პატრონებს შორის, თქვენც დაუფიქრებლად ძლიერი და „ცუდი თვისებების“ მქონე პატრონი აარჩიეთ! ძვირფასო მკითხველო! ა. ეპიფანცევის სტატიის საფუძვლიანად მცოდნეს შემეძლო მეთქვა, ვინ იგულისხმება ცუდი და კარგი თვისებების პატრონებში, მაგრამ, რადგან თვით ა. ეპიფანცევი ქართველების სავარაუდო პატრონების ვინაობას არ აკონკრეტებს, მეც თავს შევიკავებ, მეშინია, ჩვენი ბედით დამწუხრებულ ა. ეპიფანცევს ცილი არ დავწამო და თავი ცოდვაში არ ჩავიგდო!

ა. ეპიფანცევი ლოგიკურად აგრძელებს საქართველოს პატრონის თაობაზე დაწყებულ მსჯელობას. ირანისა და ოსმალეთის (ძველი პატრონების) დასუსტების შემდეგ ქართველები შეშფოთებულან და, ცხადია, ახალი პატრონის ძებნა დაუწყიათ. სტატიაში ვკითხულობთ: **„პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ არავის დიდთა და ძლიერთაგან რეგიონში მოსვლისა და სპარსთა და ოსმალთათვის საქართველოს წართმევის სურვილი არ გამოუთქვამს. არავის არ გამოუთქვამს ქართველების მფარველობის, საზრდოსა და სამეფო კარზე ტკბილი თანამდებობების მიცემის სურვილი“**. ასეთ ვითარებაში ქართველებს გამოსავლის ძიება დაუწყიათ. ა. ეპიფანცევი აგრძელებს: **„საქართველო იწყებს ძახილს. ეძახის დიდხანს და მოხმობით. ეძახის პატრონს. იმხანად მრავალ მიზეზთა გამო ასეთი პატრონი შეიძლებოდა მხოლოდ რუსეთი ყოფილიყო. საქართველო რუსეთში ელჩობას ელჩობაზე აგზავნის“**. სტატიის ამ ნაწილში, თუ გამოხატვის დამამცირებელ ტონს არ მივაქცევთ ყურადღებას, ისტორიული სინამდვილეა ასახული: ქართველი მეფეები მართლაც ეძებდნენ ერთმორწმუნე რუსეთში მფარველს. ისტორიული სინამდვილეა წარმოდგენილი სტატიის შემდეგ ნაწილშიც, სადაც ქართველ მეფეთა მოწვევაზე რუსეთის პოზიციაა წარმოდგენილი: **„რუსეთი დიდხანს არ ეთანხმებოდა — იგი გრძნობდა: იმდენად ძლიერი არ იყო, რომ სერიოზულად ეცადა კავკასიაში მოსვლა. რუსეთის ხელმწიფეები ქართველებს უგზავნიდნენ ოსტატებს** (იგულისხმება შეიარაღების ოსტატები — ვ. გ.), **ფულს, წიგნებს** (იგულისხმება საეკლესიო წიგნები — ვ. გ.), **თავშესაფარს აძლევდნენ გაქცეულებს (იგულისხმება** ოსმალთა ტყვეობიდან გაქცეული ქართველები — ვ. გ.), **მაგრამ ყოველივე ეს ის არ იყო, რაც ესაჭიროებოდა საქართველოს და საქართველო აგრძელებდა ძახილს“**. ა. ეპიფანცევი გეორგიევსკის ტრაქტატის (1783 წ.) მომზადებისა და დადების ისტორიას პრაქტიკულად არ ეხება, ძალიან მოკლედ გადმოსცემს ტრაქტატის შინაარსს. მთელი აქცენტი გადატანილია ერეკლე II-ზე. საქართველოს ისტორიის ახალი ვერსიის ავტორი აშკარად ალმაცერად უყურებს ქართლ-კახეთის მეფეს.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №191

„რაც მოგივა დავითაო“...

შავბნელი ბიზნესის მამები

ვინ არიან ქართული ონლაინ კაზინოების მფლობელები?!

საინტერესოა, რატომ არ მოსწონს ანდრეი ეპიფანცევს ერეკლე II? ამის მიზეზი, ჩანს, ერეკლე II-ის პროირანული ორიენტაცია ყოფილა. სტატიაში ვკითხულობთ: **„...მთელი ისტორიის მანძილზე საქართველოს ტახტზე ალბათ არ იჯდა მეფე, რომელსაც ირანთან ისეთი თბილი და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა, როგორც ერეკლე II-ს. შეიძლება, ეს სიტყვები მთლად ზუსტად ვერ ახასიათებენ ერეკლეს პერსონას. ირანელები პატარა კახს თავისიანად მიიჩნევდნენ – იგი აღიზარდა ირანის შაჰის კარზე, დიდი ხნის მანძილზე მეგობრობდა ნადირ შაჰთან... ფაქტობრივად, ერეკლე II იყო ირანის სახელმწიფოს ერთ-ერთი მაღალი რანგის მოხელე. ირანელებმა უხვად დააჯილდოვეს ერეკლე. მათი პატარა კახი გახადეს კახეთის მეფე... ირანი არაფრით არ ემუქრებოდა ერეკლეს, პირიქით, მისი მმართველობის წლებში აღმოსავლეთ საქართველოს ირანთან იდეალური ურთიერთობა ჰქონდა“.**

ყოველივე ზემოთ თქმული ა. ეპიფანცევს იმისათვის დასჭირდა, რომ ერეკლე II ირანის ღალატში ემხილებინა. ავტორი გეორგიევსკის ტრაქტატს ერეკლე II-ის მხრიდან ირანის ღალატად მიიჩნევს. ჩვენ ვერ დავიჯერებთ, რომ ა. ეპიფანცევმა არ იცოდეს საქართველოს ისტორიის ელემენტარული კურსი. 1735 წლიდან თეიმურაზ II და ერეკლე II პროირანულ ორიენტაციას დაადგნენ და ნადირ ხანს (იგი მაშინ ჯერ კიდევ არ იყო შაჰი) სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიიდან ოსმალეთის განდევნაში დაეხმარნენ. პროირანული ორიენტაცია მომგებიანი აღმოჩნდა, თუმცა თეიმურაზ II და ერეკლე II პროირანულ ორიენტაციას უცვლელად არ მიიჩნევდნენ. ორივენი კარგად ხედავდნენ იმ დამღუპველ საფრთხეს, რაც ირანიდან მომდინარეობდა. მას შემდეგ, რაც ნადირ ხანმა ჩრდილო კავკასიაში ლაშქრობის პერიოდში ქართლ-კახეთის მოსახლეობას დიდი გადასახადები დააკისრა, თეიმურაზი და ერეკლე სერიოზულად ფიქრობდნენ პროირანული ორიენტაციის შეცვლაზე. 1752 წელს ქართლისა და კახეთის მეფეებმა ელჩობა მიავლინეს რუსეთში. ცხადია, ამ შემთხვევაშიც პროირანული ორიენტაციის შეცვლა იგეგმებოდა.

იმხანად რუსეთი მზად არ აღმოჩნდა ირანთან დაპირისპირებისათვის. 1760-1762 წლების თეიმურაზ II-ის ელჩობა რუსეთში ისევ და ისევ პროირანული ორიენტაციის შეცვლას ისახავდა მიზნად. თეიმურაზ II და ერეკლე II კარგად ხედავდნენ, თუ რა საფრთხეს წარმოადგენდა ქვეყნისათვის ირანი. 1768-1774 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მხარეზე ომში ჩაბმა ნუთუ ირანს არ მიანიშნებდა იმაზე, რომ ერეკლე II ისლამურ სამყაროსთან „თბილი და მეგობრული“ ურთიერთობის შენარჩუნებას დიდხანს აღარ აპირებდა? 1772 წელს ანტონ კათალიკოსმა და ლევან ბატონიშვილმა პეტერბურგში ჩაიტანეს რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის დასადები ხელშეკრულების პროექტი. ამ დოკუმენტის შინაარსს, თუ მყისიერად არა, რამდენიმე ხნის (თვის, წლის) შემდეგ ხომ მაინც შეიტყობდა ირანის დაზვერვა. ასე რომ, 1783 წლამდე, გეორგიევსკის ტრაქტატის დადებამდე, ირანს კარგა ხნით ადრე უნდა სცოდნოდა, რომ ერეკლე II პროირანული ორიენტაციის შეცვლას აპირებდა. ნუთუ ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები არ იცის ა. ეპიფანცევმა? ვერ დავიჯერებთ, რომ არ იცის. იცის, მაგრამ მაინც თავისას ამტკიცებს: ირანელებმა ვერ გაიგეს, რატომ აქცია ერეკლე II-მ ზურგი ირანს.

ვახტანგ გურული,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

აზარტული **თამაშები საქართველოსთვის მოუგვარებელ პრობლემად იქცა. პრობლემა იმდენად საგანგაშოა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში პირდაპირ იყო მითითებული, რომ საქართველოში სათამაშო ინდუსტრიის ზრდა შემაშფოთებელია.**

ქართული სათამაშო ბიზნესი იმდენადაა მიშვებული თავის ნებაზე, რომ იგი არაერთხელ მოხვედრილა საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღების არეალში. ამას მოწმობს ფულის გათეთრებასთან ბრძოლის ფინანსური მეთოდების შემუშავების ჯგუფის (FATF) და ევროსაბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის (MONEYVAL) რეკომენდაციები, რომლებიც ინტერნეტ სათამაშო სივრცეში ფიზიკური პირის რეგისტრაციის პროცესის დახვეწას ითვალისწინებს.

ისედაც მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფი ქვეყანა მთლიანად ჩაიძირა აზარტულ თამაშებში. ქვეყნის მოქალაქეები სულ უფრო მეტ თანხებს აგებენ აზარტულ თამაშებში და 2018 წელს აზარტული თამაშების ბრუნვამ შესაძლოა 10 მილიარდ ლარსაც კი მიაღწიოს, სამწუხაროდ, ზუსტი მონაცემები ჯერ-ჯერობით არ გვაქვს.

თუმცა, არსებული ვითარების სიმძიმის ის მონაცემებიც ცხადყოფს, რაც გვაძვს – ოფიციალური სტატისტიკით ირკვევა, რომ საქართველოში სათამაშო ბიზნესის ბრუნვა უფრო მაღალია, ვიდრე თუნდაც სუპერმარკეტებისა და სასურსათო მაღაზიების ერთად აღებული. მეტიც, აზარტულ თამაშებში საქართველოში უფრო მეტს ხარჯავენ, ვიდრე საწვავში ან რესტორნებსა და სხვა კვების ობიექტებში. მაგალითად, 2017 წელს სათამაშო ბიზნესის ბრუნვამ 5,650 მლრდ ლარი შეადგინა, რაც საცალო ვაჭრობის არასპეციალიზებული მაღაზიების ბრუნვასთან შედარებით თითქმის 1,6 მლრდ ლარით მეტია.

სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, 2017 წელს საცალო ვაჭრობის არასპეციალიზებული მაღაზიების ბრუნვამ (სუპერმარკეტები, უბნის მაღაზიები და სხვ.) 4,094 მლრდ ლარი შეადგინა. თვალსაჩინოებისთვის, საწვავის ბაზრის ბრუნვის მოცულობა შარშან 2,343 მლრდ ლარი იყო, რესტორნებისა და სასტუმროების მთლიან ბრუნვას კი სათამაშო ბიზნესის ბრუნვა თითქმის 4,1 მლრდ ლარით აღემატება.

ციფრები ნამდვილად საგანგაშოა და ამას თუ დავუმატებთ იმასაც, რომ 5.6 მილიარდიანი შემოსავლის ფონზე ამ ბიზნესს მხოლოდ 332 მილიონი ლარი აქვს გადახდილი ბიუჯეტში, მივხვდებით, რომ სათამაშო ბიზნესი დღეს ქვეყნის მთავარი პრობლემაა! თუმცა, ხელისუფლებაში დღემდე ვერავინ გამოჩნდა ისეთი, ვინც ამ პრობლემას მოაგვარებდა და რეალურად აამოქმედებდა რეგულაციებს აზარტული თამაშების წინააღმდეგ. იმ რეგულაციებს, რომლის აუცილებლობაზეც თავად ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან საუბარი მუდმივად მიმდინარეობს, რეგულაციებს, რომლის შესახებაც მომზადებული კანონპროექტი რამდენიმე წელია, პარლამენტშია გაჭედილი და ყველაზე მარტივი – რეკლამის შესახებ კანონიც კი ჩავარდა!!!

სათამაშო ბიზნესის რეგულაციებზე როდესაც ვსაუბრობთ, განსაკუთრებით აღსანიშნავია ონლაინ აზარტული თამაშები, რომელშიც დღეს დაახლოებით 700 000 ადამიანია ჩათრეული, მათ შორის, არასრულწლოვნებიც. მათი რეკლამა ფაქტობრივად ყველგან გვხვდება და ადამიანები უკვე არამარტო თანხებს, არამედ ცხოვრებას აგებენ ონლაინ.

„ბანკებმა და ფინანსებმა“ მოიძია ინფორმაცია, თუ ვინ ფლობს დღეს ქვეყანაში ონლაინ კაზინოებს. პირველ ეტაპზე ჩვენ გთავაზობთ მხოლოდ ონლაინ კაზინოების მფლობელების ჩამონათვალს, სადაც შეხვდებით არაერთ ცნობილ და გავლენიან ბიზნესმენს, პარლამენტის დეპუტატის ოჯახის წევრს და სხვა პირებს, თუმცა, ბუნებრივია, სრული სურათის დასანახად ესეც არ არის საკმარისი, ვინაიდან ამა თუ იმ კომპანიის საკონტროლო პაკეტს უმეტეს შემთხვევაში ოფშორულ ქვეყანაში რეგისტრირებული კომპანიები ფლობენ. შესაბამისად, გაღარიბებული მოსახლეობისგან ამოღებული თანხებიც ხშირ შემთხვევაში სწორედ ამ ოფშორულ ქვეყნებში და შესაბამისად რამდენიმე ადამიანის ჯიბეში ხვდება.

აჭარაბეთი

„აჭარაბეთი“ ქართული ონლაინ კაზინოების ლიდერი კომპანიაა და იგი ბაზრის დაახლოებით, 40%-ს ფლობს, გარდა ამისა, მას ჰყავს საკუთარი წარმომადგენლობა სომხეთში, სადაც ბაზრის 10% უკავია. 2019 წელს „აჭარაბეთის“ 52%-იანი წილი და შესაბამისად საკონტროლო პაკეტი ქართველმა ბიზნესმენმა თემურ უგულავამ ირლანდიურ კომპანიას Paddy Power Betfair-ს 115.4 მილიონ ევროდ მიჰყიდა. გარდა ამისა, ირლანდიური კომპანია დარჩენილ 49% სამი წლის განმავლობაში გამოისყიდის და შესაბამისად, მთლიანი გარიგების ღირებულებაც 225 მილიონი ევრო იქნება.

Adjarabet,com-ზე ტოტალიზატორს სისტემური ელექტრონული ფორმით აწყობს შპს „კოსმოსი“, ხოლო ვებგვერდზე არსებულ სხვა თამაშობებს შპს „ავიატორი“.

ბიზნეს რეესტრის მონაცემებით, ორივე კომპანიის დირექტორი არჩილ კახაძეა. თუმცა, მათი მფლობელების გასარკვევად საკმაოდ რთული გზის გავლაა საჭირო. რეესტრის მიხედვით შპს „კოსმოსის“ მფლობელია შპს „ატლასი“, თავის მხრივ შპს „ატლასს“ კიდევ ორი შპს ფლობს – „სიტი ლოფტი“ და „ატლას ჰოლდინგს“, აი მათ მონაცემებს თუ ჩავხედავთ, მერე უკვე შევძლებთ რეალური სურათის დანახვას.

შპს „სიტი ლოფტის“ 100%-იან წილს ფლობს **თეიმურაზ უგულავა,** ხოლო მისი დირექტორია **ვალერი ჩეხერია.** შპს „ატლას ჰოლდინგსის“ მფლობელია ირლანდიური კომპანია TSE Holding Limited, რომელსაც ორი ირლანდიის მოქალაქე ჰყავს დირექტორად – **დანიელ მარკ ტეილორი** და **ედვარდ მარტინ ტრეინორი.** იგივე რეალობაა შპს „ავიატორის“ შემთხვევაშიც.

კრისტალბეთი

„კრისტალბეთი“ 2019 წლიდან საქართველოს ეროვნული ლიგა და ეროვნული ლიგა 2-ის გენერალური სპონსორი გახდა, კონტრაქტი ორწლიანია და ამ პერიოდის განმავლობაში „კრისტალბეთი“ ეროვნული ლიგის გასაძლიერებლად 2 მილიონ ლარს გადაიხდის. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ფაქტი მხოლოდ ინგლისის რანგით მეორე დივიზიონში, ანუ „ჩემპიონშიპში“ ფიქსირდება, სხვა არც ერთი ქვეყნის ეროვნულ ჩემპიონატს აზარტული კომპანია არ აფინანსებს.

როგორც crystalbet.com-ზე მითითებულია ონლაინ აზარტული თამაშების ჩატარების უფლებას ფლობს შპს „მარსი“, რომლის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეც ისრაელის მოქალაქე **შაი საგევია.** განსაკუთრებით საინტერესოა მათი მფლობელების ვინაობა – შპს „მარსში“ – 10%-იან წილს ფლობს საქართველოს პარლამენტის დეპუტატის **ისკო დასენის** შვილი **კნიაზ დასენი.** 24%-ის მფლობელია **ლევან ახვლედიანი,** რომელიც გარკვეული პერიოდი მედიაში აზარტული თამაშების ასოციაციის პრეზიდენტის სახელითაც აკეთებდა კომენტარებს, თუმცა ბოლო პერიოდში იგი არსად აღარ გამოჩენილა. ასევე, 5%-იან წილებს ფლობენ **კობა გიგლემიანი, ვანო გიგლემიანი, გიორგი ჩხეიძე,** ხოლო საკონტროლო პაკეტი და შესაბამისად 51%-იანი წილი ეკუთვნის მალტაში რეგისტრირებულ კომპანია **ბვინ ჰოლდინგს.**

აღსანიშნავია, რომ ასევე არსებობს შპს „კრისტალბეთი“, რომლის დირექტორია **ვალერიან გიორგაძე.** მათი მფლობელები კი არიან **კნიაზ დასენი 24.1%, ლევან ახვლედიანი 29%, ფლობს კობა გიგლემიანი 18.34%, ვანო გიგლემიანი 11.86%, კობა ურუშაძე 10.6%, გიორგი ჩხეიძე 6.1%.**

ლიდერბეთი

საზოგადოებაში **საკმაოდ დიდხანს მუსირებდა აზრი, რომ ონლაინ კაზინოებს „ლიდერბეთსა“ და „კრისტალბეთს“ რეალურად ერთი მფლობელი ჰყავდა. ამის არგუმენტად ის ფაქტიც მოჰყავდათ, რომ აღნიშნულ ვებგვერდებზე მოგებული თანხის გამოტანა შესაძლებელი იყო, როგორც „ლიდერბეთის“, ასევე „კრისტალბეთის“ სალაროებიდან. თუმცა, ბოლო პერიოდში ეს რეალობა შეიცვალა და, როგორც ჩანს, ეს ორი კაზინოც რეალურად გაემიჯნა ერთმანეთს.**

როგორც Liderbet.com-ზეა მითითებული, ონლაინ აზარტული თამაშების ჩატარების უფლებას აღნიშნულ ვებგვერდზე ფლობს შპს „ლიდერ-ბეთ სლოტი“, მისი დირექტორი და ამავდროულად 100%-იანი წილის მფლობელია **აკაკი შუბითიძე.**

ევროპაბეთი

Europebet,com-ზე ონლაინ აზარტული თამაშების ჩატარების უფლებას ფლობს შპს „ჩემპიონები 111“. აღნიშნული კომპანია 2015 წლამდე ქართველების საკუთრება იყო და კომპანიაში ყველაზე მაღალ 32%-იან წილს სულიკო წულუკიძე ფლობდა, რომელიც ახლა სხვა ყოფილ მფლობელებთან ერთად „ბეთლაივის“ მეწილეა.

აღსანიშნავია, რომ 2015 წელს ქართველმა მფლობელებმა „ევროპაბეთი“ შვედურ კომპანია „ბეთსონს“ მიჰყიდეს, გარიგების ღირებულებად 100 მილიონი ევრო დასახელდა. დღემდე სწორედ აღნიშნული შვედური კომპანია Betsson Perch Investment-ია „ევროპაბეთის“ მფლობელი, ხოლო „ჩემპიონები 111“-ში დირექტორების პოსტს **მაია კოპინაძე** და **კრისტიან სალიბა** იკავებენ.

ბეთლაივი

როგორც **აღვნიშნეთ „ბეთლავი“ ძირითადად იმ ადამიანების შექმნილია, რომლებიც შვედებისთვის მიყიდვამდე „ევროპაბეთის“ მფლობელები იყვნენ, ისინი შპს „აიტი ვენჩარის“ მეწილეები არიან, რომელიც თავის მხრივ 40% ფლობს შპს „ბეთლაივში“.**

თუმცა, მივყვეთ თანამიმდევრობით – შპს „ბეთლაივის“ დირექტორია **თეიმურაზ კოპალეიშვილი,** კომპანიის 38% ფლობს **სულიკო ვარსემაშვილი, 19% დავით ველიჯანაშვილი, 3% თამაზ ხარაიძე,** ხოლო 40% ზემოხსენებულ კომპანია **შპს „აიტი ვენჩარის“** ეკუთვნის.

თავის მხრივ, „აიტი ვენჩარის“ დირექტორია **ლაშა კვაჭაძე,** კომპანიის მფლობელები კი არიან „ევროპაბეთის“ ყოფილი მეწილეები **სულიკო წულუკიძე 30%, ალექსანდრე წულუკიძე 20%, ალექსი მოდებაძე 20%, ალექსანდრე მელაძე 15%** და **ლაშა კვაჭაძე 15%.**

კროკობეთი

Crocobet.com ონლაინ სივრცეში ბოლო წლების განმავლობაში გამოჩნდა, იგი ბაზრის ერთ-ერთი ყველაზე პატარა მოთამაშეა. მისი მფლობელია შპს „ფულ ჰაუსი“, როგორც საჯარო რეესტრის მონაცემებით ირკვევა, კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე თემურ მიქელაძეა, ხოლო დირექტორი **გია დუმბაძე.**

რაც შეეხება მფლობელებს, **შპს „ფულ ჰაუსის“** 40%-იან წილს ფლობს **თემურ მიქელაძე,** 16.67%-ის მფლობელები არიან ავსტრიის მოქალაქე **ნორბერტ ფრანც ტეუფელბერგერი** და ისრაელის მოქალაქე **გიგი ლევაი-ვეის,** 16.66% ფლობს ავსტრიის მოქალაქე **მანფრედ ბოდნერი,** ასევე 2.5% ფლობენ **გურამ დოლიძე, ზურაბ ერქომაიშვილი, ბაკურ ხარჩილავა** და **გიორგი ბარნაბიშვილი.**

BFM.GE, COMMERSANT.GE

ევროპის საბჭო მოუწოდებს, რუსეთი ყურსაც არ იბერტყავს!

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა ე.წ. დეპორტირებულების საქმეზე გადაწყვეტილება მიიღო და რუსეთს კომპენსაციის დაუყოვნებლივ გადახდისკენ მოუწოდა, – ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ავრცელებს.

სამინისტროს ცნობით, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა 2019 წლის 23-25 სექტემბერს საქართველოს მოთხოვნით ე.წ. დეპორტირებულების საქმის აღსრულების პროცესი შეაფასა.

კომიტეტმა გაიზიარა საქართველოს მთავრობის მიერ წარდგენილი არგუმენტები და რუსეთს მოუწოდა კომპენსაციის სახით 10 მილიონი ევროს საქართველოსთვის დაუყოვნებლივ გადახდისკენ.

გადაწყვეტილებაში, აგრეთვე აღინიშნა, რომ რუსეთის მიერ თანხის დადგენილ ვადაში (2019 წლის 30 აპრილამდე) გადაუხდელობის გამო, მას დაეკისრება შესაბამისი პროცენტები. მინისტრთა კომიტეტმა აგრეთვე მიუთითა რუსეთის ფედერაციას, რომ კომპენსაციის გადახდა არის ევროპული კონვენციის 46-ე მუხლიდან გამომდინარე „უპირობო ვალდებულება“. კომიტეტმა აღნიშნა, რომ ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2019 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილების მიხედვით, აღნიშნული თანხა უნდა განაწილდეს 2006 წლის შემოდგომაზე რუსეთის ფედერაციიდან მასობრივი დეპორტაციისა და ადამიანის უფლებების უხეში დარღვევების მსხვერპლ სულ მცირე 1500 პირზე.

იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგობის მიუხედავად კომიტეტმა დააკმაყოფილა საქართველოს მოთხოვნა და „დეპორტირებულების საქმეზე“ ხელახალი დებატები უახლოეს სხდომაზე – 2019 წლის დეკემბერში ჩანიშნა. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის ფარგლებში საქართველოს იუსტიციისა და საგარეო საქმეთა სამინისტროები მიმართავენ ყველა ზომას, რათა რუსეთის ფედერაციამ შეასრულოს სტრასბურგის სასამართლოს მიერ დაკისრებული ვალდებულებები, რის შესახებაც საზოგადოება მუდმივად ინფორმირებული იქნება.



სერგეი ლავროვი: საქართველოს ნატოში მიღების შემდეგ რუსეთი ომს არ დაიწყებს, თუმცა ურთიერთობები სერიოზულად დაზიანდება...

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, იმ შემთხვევაში თუ საქართველოს ნატოში მიიღებენ, რუსეთი ომს არ დაიწყებს, თუმცა ურთიერთობები სერიოზულად დაზიანდება. ეს განცხადება სერგეი ლავროვმა გამოცემა „კომერსანტთან“ ინტერვიუში ჟურნალისტის კითხვაზე საპასუხოდ გააკეთა.

ჟურნალისტი ლავროვს ეუბნება, რომ ნატოს მაღალჩინოსანი გენერლები საქართველოს ნატოში მიღების შესაძლებლობას, აფხაზეთისა და ოსეთის გარეშე განიხილავენ და ეკითხება, რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ საქართველო მართლაც შევა ნატოში, რაზეც ლავროვი პასუხობს, რომ მოსკოვი ომს არ დაიწყებს. **„ომს ნამდვილად არ დავიწყებთ, ამას გპირდებით. მაგრამ ჩვენი ურთიერთობები ჩრდილო ატლანტიკური ალიანსისადმი და იმ ქვეყნების მიმართ, ვინც პირველ პრიორიტეტად ნატოში გაწევრიანებას ასახელებს, სერიოზულად დაზიანდება“,** – აცხადებს ლავროვი.

ამავე ინტერვიუში ლავროვი 2008 წლის ომის დაწყებაში კიდევ ერთხელ სდებს ბრალს საქართველოს ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს. მისივე თქმით, ომის დროს რუსეთი „არა ნატოზე, არამედ ადამიანების სიცოცხლეზე ფიქრობდა“. ჟურნალისტი ლავროვს ეკითხება, რომ რუსი დიპლომატების ნაწილი 2008 წლის ომის შედეგებს ისე აფასებს, რომ **„რუსეთმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებით საქართველოს ნატოში გაწევრების საკითხი დახურა“,** რაზეც ლავროვი ამბობს, რომ რუსეთის მიზანი ეს არ ყოფილა, თუმცა მოსკოვი ნატოს მის საზღვრებთან მიახლოებას მაინც საფრთხედ განიხილავს.

„ჩვენ მაშინ არ ვფიქრობდით იმაზე, რომ საქართველოში ნატო არ იყოს. ჩვენ ვფიქრობდით ადამიანების სიცოცხლეზე, ჩვენ ვიცოდით, რომ მათ უბრალოდ დაჩეხავენ. ასეთი იყო საქართველოს არმიის განწყობა, რომელმაც ეს ბრძანება მიიღო. მაგრამ, რა თქმა უნდა, ნატოს მიახლოება ჩვენს საზღვრებთან რუსეთისთვის საფრთხეს აჩენს“, – ამბობს ლავროვი.

ქვეშეთი-კობის გზის პროექტისთვის მთავრობა სესხს 26 წლით აიღებს

ქვეშეთი-კობის მაგისტრალის მშენებლობისთვის მთავრობა სესხს აზიის განვითარების ბანკისგან 26 წლის ვადით აიღებს. ფინანსთა მინისტრის მოადგილის, გიორგი კაკაურიძის განცხადებით, სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი დაახლოებით 0.7 პროცენტია, შეღავათიანი პერიოდი კი 11 წელი.

აზიის განვითარების ბანკი გზის მშენებლობას 415 მილიონი დოლარით დააფინანსებს. პროექტის ჯამური ღირებულება კი, 558 მილიონი დოლარია, რომლის ნაწილს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) გამოყოფს, ნაწილი კი ბიუჯეტის თანადაფინანსება იქნება. ქვეშეთი-კობის გზის მშენებლობა დაყოფილია ორ მონაკვეთად. ხელშეკრულება ორივე მონაკვეთზე უკვე გაფორმებულია. ჯამში დაგეგმილია ორზოლიანი ასფალტ-ბეტონის 22.7 კილომეტრი გზის, ექვსი ხიდისა და ხუთი გვირაბის, მათ შორის, ერთი 9-კილომეტრიანი გვირაბის მშენებლობა.

დმანისში აგრარული კოლეჯი გაიხსნება

სოფელ სარკინეთში ქართულ-შვეიცარიული აგრარული პროფესიული სასწავლებელი „ქართულ-შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასია“ უახლოეს მომავალში დაიწყებს ფუნქციონირებას. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა მიმდინარე სამუშაოები ადგილზე დაათვალიერა. შვეიცარიული სტანდარტის კოლეჯი სპეციალისტებს მეცხოველეობის, რძისა და ყველის გადამუშავების მიმართულებით მოამზადებს. თეორიულ სწავლებასთან ერთად, გათვალისწინებულია პრაქტიკული გამოცდილების მიღებაც, რისთვისაც კოლეჯის ტერიტორიაზე აშენდება მეცხოველეობის ფერმა და შვეიცარიული სტანდარტის ყველის ქარხანა.

აღსანიშნავია, რომ მეცხრამეტე საუკუნეში, ქვემო ქართლში ყველის 33 შვეიცარიული საწარმო, ასევე შვეიცარიული სკოლა ფუნქციონირებდა. როგორც ახალი კოლეჯის დამფუძნებელმა მიხეილ სვიმონ იაშვილმა განაცხადა, სწორედ ამ ისტორიის გათვალისწინებით და პროფესიული განათლების სფეროში უმაღლესი სტანდარტების დამკვიდრების მიზნით, პროექტის მთავარი პარტნიორი შვეიცარიაში ყველაზე წარმატებული აგრარული სკოლა „პლანტაჰოფია“.სკოლა „პლანტაჰოფი“ უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამების შედგენას, მასალების შერჩევას, სასწავლო პრაქტიკის დაგეგმვასა და მასწავლებლების გადამზადებას.

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველო ეროვნული სტენდით წარდგება



საქართველო 16-20 ოქტომბერს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე ეროვნული სტენდედით წარდგება. ამ საკითხებზე საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია, მწერალთა სახლი და განათლების სამინისტრო მუშაობენ.

შარშან საქართველო ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე, კონცეფციით Georgia Made by Characters, საპატიო სტუმრის სტატუსით წარდგა. წარმატებული პროექტის შემდეგ, წელს საერთაშორისო ბაზრობაზე განახლებული სლოგანით მიეგმზავრება – Follow the Journey of Georgian Characters.

პროექტის ფარგლებში, ქართველი და უცხოელი მწერლებისა და გამომცემლების მონაწილეობით, დაგეგმილია ოცამდე ლიტერატურული და ბიზნეს ღონისძიება. ათამდე ქართული გამომცემლობა ხუთი დღის განმავლობაში უცხოელ გამომცემლებს სხვადასხვა ფორმატში ქართულ ლიტერატურას გააცნობს. ბაზრობის მეორე დღეს კი საქართველოს ეროვნული სტენდი ტრადიციულად უმასპინძლებს საზეიმო მიღებას, რომელსაც ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის ორგანიზატორები და მსოფლიო საგამომცემლო სფეროს პროფესიონალები დაესწრებიან.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ქეთევან ციციშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ქეთევან ციციშვილი (პ/ნ 01024006884), თბილისი ი. ნიკოლაძის ქ. №8.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
თბილისი, დაბა წყნეთი, გურამიშვილის ქ. №2 (საკადასტრო კოდი: 01.20.01.131.036).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 115262.49 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 27 სექტემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 14 ოქტომბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP62659019;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 626590
6. **მოვალე:** იოსებ ჩხიკვიშვილი (პ/ნ 01024006883), თბილისი ი. ნიკოლაძის ქ. №8.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP62659019; ლოტის ნომერი: 626590).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 14 ოქტომბრის 10:00 საათამდე.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ირაკლი კვესაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ირაკლი კვესაძე (პ/ნ 01019019462), თბილისი, გლდანის მასივი, 4 მ/რ, კორპ. 99, ბინა 13.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
თბილისი, კავთისხევის ქ. 19, სარ. 7, ბინა 25 (საკადასტრო კოდი: 01.12.12.028.043.01.01.025https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 28967.45 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 27 სექტემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 14 ოქტომბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP62658619;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 626586
6. **მოვალე:** ირაკლი მელიქიძე (პ/ნ 01025012760), თბილისი, დიდი დიღომი, 3 მ/რ, კორპ. 34, ბინა 55;
თამარ მაისურაძე (პ/ნ 01020010719), თბილისი, რ. ურიდიას ქ. 89.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP62658619; ლოტის ნომერი: 626586).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 14 ოქტომბრის 10:00 საათამდე.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ბექარ მუხაშავრიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ბექარ მუხაშავრია (პ/ნ 61001064310), ქ. ბათუმი, ქათამაძის 32, სართული 1-2, ბინა 2.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქ. ბათუმი, ქათამაძის 32, სართული 1-2, ბინა 2 (საკადასტრო კოდი: 05.30.11.054.01.002).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 32087.06 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 27 სექტემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 14 ოქტომბერი, 13:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP62658319;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 626583
6. **მოვალე:** ნინელი ხახუტაიშვილი (პ/ნ 61004019788), ქ. ბათუმი, ქათამაძის 32.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP62658319; ლოტის ნომერი: 626583).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 14 ოქტომბრის 10:00 საათამდე.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ასიფ ქაზუმოვის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ასიფ ქაზუმოვი (პ/ნ 36001011330), საგარეჯოს რ-ნი, ს. ზემო ლამბალო, მე-2 ქ. №6.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
საგარეჯოს რ-ნი, ს. ზემო ლამბალო, მე-2 ქ. №6 (საკადასტრო კოდი: 55.21.53.311).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 16349 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 27 სექტემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 14 ოქტომბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP62658819;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 626588
6. **მოვალე:** ასიფ ქაზუმოვი (პ/ნ 36001011330), საგარეჯოს რ-ნი, ს. ზემო ლამბალო, მე-2 ქ. №6;
ჯახან ქაზუმოვი (პ/ნ 36001019657), საგარეჯოს რ-ნი, ს.ზემო ლამბალო, მე-2 ქ. №6;
ელჩინ მასიმოვი (პ/ნ 36001040974), საგარეჯოს რ-ნი, ს. ზემო ლამბალო, მე-6 ქ. №4;
აზერ ქაზუმოვი (პ/ნ 36001011988), საგარეჯოს რ-ნი, ს. ლამბალო, პირველი ქ. №16.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP62658819; ლოტის ნომერი: 626588).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 14 ოქტომბრის 10:00 საათამდე.

◉ თაობა

„ბრინჯაოს“ სტარტი

ახალგაზრდა ქართველი ძიუდოისტი ნიკა ბაჩიაშვილი ყაზახეთის ქალაქ ალმათიში დაწყებულ კადეტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა.

მან გადამწყვეტი ორთაბრძოლა რუმინელ ალექსანდრუ მატეისთან ჩაატარა და მის დასრულებამდე ათიოდე წამით ადრე მეტოქე იპონზე დასცა.

შეგახსენებთ, რომ ნიკამ უმსუბუქეს 50 კგ-მდე წონით კატეგორიაში პირველი წრე გამოტოვა, მეორეში ფრანგი ლუი პესტელარი დააიპონა, მეოთხედფინალში კი უკრაინელ მიკიტა ჰოლობოროდკოსთან ვაზარით დამარცხდა.

საქართველოს ნაკრები მსოფლიოს პირველობაზე 12-კაციანი შემადგენლობით არის ჩასული, რომელთაგან ორს საქმეში დღეს ვიხილავთ. 60 კგ-მდე წონით კატეგორიაში დავით ბახბახაშვილი იასპარეზებს, ხოლო 66-ში — დათო დვალიშვილი.

კობა კობახიძე

◉ ეტლით ფარიკაობა

„ვერცხლის“ ფინიში

სამხრეთ კორეის ქალაქ ჩონგჯუში დასრულდა მსოფლიოს ჩემპიონატი ეტლით ფარიკაობაში. ფორუმის ბოლო დღეს ხმალში გუნდური ტურნირი გაიმართა. საქართველოს ნაკრებმა მეოთხედფინალში პოლონეთი 45:43 დაამარცხა, ნახევარფინალში კი იტალიის უძლიერეს გუნდს 45:36 სძლია. ფინალში ჩვენებურთა მეტოქე ჩინეთი იყო. აზიელებმა სულ 25 მედალი მოიპოვეს, რომელთაგან 11 „ოქროსია“ და უახლოეს მდევარ უკრაინას 15 მედლით აჯობეს. მსოფლიოს საუკეთესო პარამოფარიკავეებით დაკომპლექტებულ მეტოქეს ქართველმა სპორტსმენებმა წინააღმდეგობა კი გაუწიეს, თუმცა, საბოლოოდ ანგარიშით 22:45 დამარცხდნენ. მესამე ადგილზე უკრაინა გავიდა.

საქართველოს ნაკრების ღირსებას მსოფლიოს ჩემპიონატზე ირმა ხეცურიანი, ნინა თიბილაშვილი და გვანცა ზადიშვილი იცავდნენ, ხოლო გუნდის მთავარი მწვრთნელია მალხაზ მესხი.

ბეჟან დოლიძე

◉ კალათბურთი

ახალ სეზონს ერთად ხსნიან

ფიბა და VTB-ის გაერთიანებული ლიგა საკალათბურთო სეზონს ხსნიან. საერთაშორისო საკლუბო ტურნირები, რომლებსაც ეს ორგანიზაციები ხელმძღვანელობენ, დღეიდან იწყება. შესაბამისად, საქმეში ერთვებიან ქართველი მსაჯ-კომისრებიც, რომლებიც საერთაშორისო საკლუბო და სანაკრებო მატჩებს სისტემატურად ემსახურებიან.

არბიტრ მაკა კუპატაძესა და კომისარ-ტექნიკურ დელეგატ მერაბ რატიშვილს პროდუქტიული ზაფხული ჰქონდათ. ისინი ევროპის სხვადასხვა ასაკობრივ და ქალთა ჩემპიონატებს გაუძღვნენ. ამ ტანდემისთვის საკმაოდ დატვირთული იქნება მომავალი სეზონიც და ვიმედოვნებთ, ასევე მალე ჩაერთვებიან საქმეში ფიბა-ს ლიცენზიის ახლახან მიმღები საქართველოს მსაჯთა კორპუსის დანარჩენი წარმომადგენლებიც — მიხეილ ვართანოვი და კირილე თვაური.

წარმოგიდგენთ არბიტრ მაკა კუპატაძისა და კომისარ-ტექნიკურ დელეგატ მერაბ რატიშვილის უახლოეს ევროგრაფიკს:

მაკა კუპატაძე (მსაჯი).

ქალთა ევროპის თასის საკვალიფიკაციო ეტაპი. **27 სექტემბერი. ნოგინსკი (რუსეთი).**

„სპარტაკი“ (ნოგინსკი, რუსეთი) — „ქაისერი“ (თურქეთი).

მერაბ რატიშვილი (კომისარი).

ვი-თი-ბი გაერთიანებული ლიგა. **1 ოქტომბერი. ზელენა გურა (პოლონეთი).**

„ზელენა გურა“ (პოლონეთი) — „ზენიტი“ (სანკტ-პეტერბურგი, რუსეთი).

ქალთა ევროპის თასის საკვალიფიკაციო ეტაპი. **3 ოქტომბერი. ქაისერი (თურქეთი).**

„ქაისერი“ (თურქეთი) — „სპარტაკი“ (ნოგინსკი, რუსეთი).

ვიტალი ჯაფარიძე

◉ ლეგიონერი

გიორგი ჩაკვეტაძე უკვე ვარჯიშობს

გვირაბის ბოლოს სინათლე გამოჩნდა – გიორგი ჩაკვეტაძე გუნდთან ერთად ღვრის ოფლს. „გენტის“ ვებ-გვერდის ცნობით, ქართველმა გუშინდელ საწვრთნელ პროცესში პარტნიორებთან ერთად სრული დატვირთვით ივარჯიშა.

ჩვენებურის მოედანზე დაბრუნების ზუსტი დრო ჯერაც უცნობია, მაგრამ ფაქტი, რომ წვრთნას შეუდგა, უკვე პოზიტიურია და არც უშუალოდ მატჩებში მონაწილეობა იქნება ძალიან შორს. ბელგიური მედიის ცნობით, ქართველი შემტევი სათამაშოდ მზად ერთ თვეში იქნება.

შეგახსენებთ, რომ გიორგიმ ბოლოს 21 აპრილს ბრიუსელის „ანდერლეხტის“ წინააღმდეგ ითამაშა და მას შემდეგ მუხლზე ოპერაცია გაიკეთა, ხოლო სარეაბილიტაციო კურსი აქამდე გრძელდებოდა.

აქვე ვთქვათ, რომ გუშინ „გენტმა“ ბელგიის თასზე „აალსტი“ 4:0 გაანადგურა და მერვედფინალის საგზური მოიპოვა, გიორგი ქვილითაიამ კი დუბლის შესრულება მოახერხა.

გიორგი შოთაძე

◉ ინტერნეტიდან

ამბიციური ხორვატი

სანამ ჩვენ „დინამო არენაზე“ საქართველოს საფეხბურთო ნაკრების საქომაგოდ ლუდდალეულები მივდივართ (წაგების ადვილად გადატანის მიზნით) და მზესუმზირას ნერვიულად ვაკნატუნებთ, ხორვატეთის უმთავრეს გუნდს ისეთი გულშემატკივარი გამოუჩნდა, ამიერიდან თუნდაც მხოლოდ მის სანახავად ეღირება ზაგრების ცენტრალურ სტადიონზე მისვლა.

27 წლის ბალკანელმა მოდელმა ივანა კნოლმა მთელ პლანეტას კიდით-კიდემდე ამცნო, რომ თანამემამულეთა მთავარი თილისმაა და ეროვნული დროშის ფერებში გაწყობილ ისეთ საოცარ სამოსში იპოზიორა, მის ინსტაგრამის გვერდს ასეულათასობით გამომწერი მსწრაფლ შეემატა.

გარდა იქაურ მობურთალთა გულდათუთქვით „ბალელშჩიკობისა“, ამ მშვენიერ ასულს ჩაფიქრებული აქვს მშობლიური დროშის ფერებში გადაწყვეტილი საცურაო კოსტუმებისა და კაბების ახალი კოლექციის შექმნაშიც მიიღოს მონაწილეობა და ამ სარფიანი საქმიდან, ცხადია, გემრიელი გასამრჯელოც ექნება.

მანუჩარ გიორგაძე

◉ 64

მოამზადა თამაზ შენგელიამ

საინტერესო თემის ავტორი

იტალიელი საჭადრაკო კომპოზიტორი ალფრედო მარი (1892-1953) იმ არცთუ მრავალრიცხოვან შემოქმედთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებმაც ხელოვნების დონეზე აიყვანეს ორსვლიანი და სამსვლიანი ამოცანების სტრატეგიული პროპაგანდა.

მისი პერსპექტიული გეგმა ემყარება თემას, რომელიც ბლოკირებული ფიგურების ჩართვას ან გამორთვას განიხილავს და საშამათო ზონაში ოპტიმალური ვარიანტების შერჩევით მოგებით მთავრდება.

როგორც სულმნათი რუსთაველი ბრძანებს: „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის“...

ა. მარიმ თავისი ამოცანა ხსენებულ თემებზე პირველად 1932 წელს საბჭოურ პრესაში გამოაქვეყნა, რასაც დიაგრამაზე გთავაზობთ.

ა. მარი
„შახმატი ვ. სსსრ“
1932



შამათი 2 სვლაში

1. კd6! მ3f5 2. მe6x
და თუ 1... მ7f5 2. მe2x
და თუ 1... მ3e4 2. ლd5x

ა. მარი
„შაჰოვსკი ვიესნიკ“, I პრიზი
1960



შამათი 2 სვლაში

1. მf1! მყვავალი 2. მe3x
და თუ 1... მc5 2. მb6x
და თუ 1... მ:c5! 2. მc7x

შენიშვნა:

ნებისმიერი დანარჩენი ვარიანტის 2 სვლაში ამოხსნა თქვენთვის მოგვინდია.

თბილისის „შავი წერტილები“

„ადამიანის სიცოცხლე 250-ლარიან ჯარიმაზე ბევრად მნიშვნელოვანია“

პეტრიწის ქუჩა, ჯავახიშვილ-კლდიაშვილის კვეთა, ბელიაშვილის ქუჩა, ზოოპარკის მიმდებარე ტერიტორია, კახეთის გზატკეცილი, მტკვრის ორივე სანაპირო, წერეთლის გამზირი – ეს ის ლოკაციებია, რომელსაც ე.წ. შავ წერტილებად მოიხსენიებენ.

„შავი წერტილი“ გზის მონაკვეთია, სადაც ავტოსატრანსპორტო შემთხვევები ყველაზე ხშირად აღირიცხება. შესაბამისად, მძღოლიც და ქვეითიც ვალდებულია, ადგილზე განსაკუთრებული სიფრთხილით გადაადგილდეს, თუმცა, საქართველოში ამ მიმართულებით განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა:

ე.წ. შავ წერტილებს არ აქვთ მინიჭებული სამართლებრივი სტატუსი და, შესაბამისად, მისი არსებობის შესახებ, როგორც წესი, მოქალაქეებმა არ იციან. ამიტომ თბილისის ქუჩებში ავტოსაგზაო შემთხვევებმა ყოველდღიური სახე მიიღეს და ძალიან ხშირად ავარია ფატალური შედეგით სრულდება.

თბილისში „შავ წერტილებს“ წელიწადში ათასობით ადამიანი ეწირება, რასაც ოფიციალური სტატისტიკა ადასტურებს. საზოგადოება ამ საკითხზე ღიად საუბრობს, მაგრამ პრობლემა მოუგვარებელი რჩება.

სანამ უშუალო დარგის სპეციალისტების შეფასებებსა და პასუხისმგებელი ორგანოების პოზიციაზე გადავალთ, მანამდე მოქალაქეების მიერ სოციალურ ქსელში რამდენიმე დღის წინათ გავრცელებულ ინფორმაციას გაგაცნობთ:

სოფო ხუციშვილი:

ყოველდღე ხდება ავტოავარია ერთსა და იმავე ადგილას ბოლო რამდენიმე თვეა დიდ დიღომში, პეტრიწის ქუჩის დასაწყისში.

თბილისის მერია – მიიღეთ ზომები, გთხოვთ. აქ სასწრაფოდ საჭიროა დამატებითი საგზაო ნიშნები, შუქნიშანი და კამერა !!!“

მარიამ ვაჩნაძე:

ეს ჯავახიშვილისა და კლდიაშვილის ქუჩების კვეთაა. სურათზე კი უკვე ტრადიციად ქცეული ავტოსაგზაო შემთხვევა. ამ ადგილზე მცხოვრებლებისთვის არც ეს ქუჩებია უცხო და არც ეს სანახაობა. ყველაზე კარგ შემთხვევაში ავარია კლდიაშვილისა და ჯავახიშვილის კვეთაზე 2 დღეში ერთხელ ხდება, ცუდ ვარიანტში, ყოველდღე და ყველაზე ცუდ ვარიანტში დღეში რამდენჯერმე. ეს ავტოსაგზაო შემთხვევა ჩვენთვის უკვე არაფერს ნიშნავს. ასეთ შეჯახებებზე ხალხი ფანჯრიდანაც კი აღარ იყურება. ყველაფერი მიჩვევის ამბავია. სამწუხაროდ, ჩვენს არქივში ბევრად უფრო მძიმე კადრებიც გვაქვს შემონახული. ასევე სამწუხაროდ, უმრავლეს შემთხვევაში ავტოსაგზაო შემთხვევის სიმძიმიდან გამომდინარე, პატრულს მუდმივად თან სდევს სასწრაფოს მოსვლაც. უკვე დიდი ხანია, ადგილობრივები იმას ამბობენ, სანამ აქ მინიმუმ რამდენიმე ადამიანი არ დაიღუპება, არავინ არაფერს შეცვლისო.

ამ ქუჩების კვეთაზე თითოეული ავტოსაგზაო შემთხვევის შესახებ კარგად იცის პატრულმაც. მოდიან, ჯარიმას წერენ და მიდიან. აქ არავის სჯერა, რომ მდგომარეობის შესახებ ინფორმირებული არაა ყველა ის უწყება, რომელსაც მდგომარეობის გამოსწორება შეუძლია, მინიმუმ ე.წ ბუგაროკის დაგების ხარჯზე. მაგრამ აქ ამ ე.წ ბუგაროკის დაგებას არავინ ელის:) რომ ჰკითხოთ რატომო, გიპასუხებენ – მერე ბიუჯეტს რით შეავსებენო:)

P. S. ***ადამიანის სიცოცხლე 250-ლარიან ჯარიმაზე ბევრად მნიშვნელოვანია, სიტყვაზე მენდეთ.***

P. P. S. *ბოლო ავტოსაგზაო შემთხვევისას ერთ-ერთი მგზავრი მრავლობითი მოტეხილობებით სასწრაფომ კლინიკაში გადაიყვანა. მეორე მგზავრიც წაიყვანეს, შინაგანი სისხლდენის დიაგნოზით. აი, ამ ადამიანების ჯანმრთელობის დაზიანებაზე პასუხისმგებლები თქვენ ხართ, რომლებიც 250 ლარს ადამიანის სიცოცხლეზე მაღლა აყენებთ“.*

მარიამ ვაჩნაძისა და სოფო ხუციშვილის მსგავსად, ავტოსატრანსპორტო პრობლემებზე მუდმივად საუბრობს მედია, არასამთავრობო სექტორი, ოპოზიცია და მათ შორის ხელისუფლებაც, მაგრამ, როგორც უკვე გითხარით, სტატისტიკა ყოველწლიურად უფრო საგანგაშო ხდება და ადამიანების სიცოცხლე ყოველდღიურად საფრთხის ქვეშაა.

*როგორც **„ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის“ ხელმძღვანელი დავით მესხიშვილი** გვიყვებოდა, ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში ე.წ. შავ წერტილებს მინიჭებული აქვთ სამართლებრივი სტატუსი. ეს ნიშნავს იმას, რომ საზოგადოებისთვის ცნობილია საშიში ქუჩების შესახებ. ამასთან დამონტაჟებულია სპეციალური საგზაო ნიშნები და ხშირად მძღოლებს მითითებებსაც აძლევენ, რომ კონკრეტულ ლოკაციაზე განსაკუთრებული სიფრთხილით გადაადგილდნენ. ამ ყველაფრის შედეგად, „შავი წერტილები“ კონტროლირებადი ხდება და ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობაც ყოველწლიურად იკლებს:*

„ე.წ. შავი წერტილების იდენტიფიცირება აუცილებელია, რათა უკვე შემდგომ მოხდეს მისი პრევენცია. აქ მთავარი პრობლემა არის ის, რომ მძღოლის უყურადღებობის გარდა, ავტოსაგზაო შემთხვევის რამდენიმე ხელშემწყობი ფაქტორი შეიძლება არსებობდეს. ვგულისხმობ საგზაო ინფრასტრუქტურას, გარე განათებას, არასწორად მოწყობილ ტროტუარს ან ზებრა გადასასვლელს – ზუსტად ეს პრობლემები გვხდება ამ ლოკაციებზე. პარალელურად, როცა ევროკავშირის ქვეყნებში საკმარისია ორ თვის განმავლობაში ერთსა და იმავე ადგილას სამი შემთხვევა დაფიქსირდეს და ის ზონა „შავ წერტილად“ განისაზღვროს, საქართველოში ტერმინი საკანონმდებლო დონეზეც კი არაა გაწერილი. არ ვსაუბრობთ ამ თემაზე ხმამაღლა, ამიტომაც არ გვაქვს მიდგომები. არ ვიცით, სადაა საშიში ქუჩები, სადაც ყველა დარგის ექსპერტი უნდა მიდიოდეს და იკვლევდეს. ბუნებრივია, არც მძღოლები არიან ინფორმირებულნი, ამიტომ ავარიები ჩვენი ყოველდღიურობა გახდა“.

დავით მესხიშვილის თქმით, ასეთ ვითარებაში პირდაპირი პასუხისმგებლობა ხელისუფლებას ეკისრება.

დარგის სპეციალისტების ბრალდებებს უარყოფს თბილისის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი მამუკა მუმლაძე. *მეტიც, იგი რეალობას შედარებით განსხვავებულად ხსნის და მთავარ პასუხისმგებლობას მძღოლს აკისრებს. რაც შეეხება საგზაო ინფრასტრუქტურის ნაწილს, ამბობს რომ ამ მიმართულებით შსს-ს ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს ოპერატიულად აწვდის ინფორმაციას, რის შემდეგაც უწყება შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს. სისტემა გამართულად მუშაობს და ინფრასტრუქტურული პრობლემებიც ეტაპობრივად გვარდება:*

„ჩვენ ვმუშაობთ კომპლექსურად. ამ საკითხის დარეგულირებისთვის შექმნილია შესაბამისი განყოფილებაც, რომელიც ატარებს ანალიტიკას, შემდეგ მონიტორინგს, მოდელირებას და უკვე მიღებული შედეგების მიხედვით ადგილზე ვამონტაჟებთ შუქნიშნებს. აღსანიშნავია, რომ მოდელირება წელს დავნერგეთ და გვეხმარება მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრაში, რაც იმას ნიშნავს რომ შუქნიშნები სწორად მონტაჟდება. რაც შეეხება საფრთხილო ქუჩებს, ჩვენ აქამდე წლის განმავლობაში ვამონტაჟებდით 15-20 შუქნიშანს, წელს კი 40-მდეა დაგეგმილი. ამ ციფრს ემატება პეტრიწი-ფარნავაზის კვეთა, ბრწყინვალე-ფარნავაზის კვეთა, მირიან მეფის ქუჩა. ასევე, შუქნიშანს ვამონტაჟებთ ქეთევან დედოფლის 23-ე ნომერთან, სადაც საჯარო სკოლაა განთავსებული. ვაპირებთ ჯავახიშვილ-კლდიაშვილის კვეთის ათვისებასაც, მაგრამ აქ ისაა მნიშვნელოვანი, რომ იგივე ჩუღურეთში ბევრი ერთნაირი ქუჩაა. ყველგან საგზაო ნიშნები აყენია, მძღოლები კი, სამწუხაროდ, არ ითვალისწინებენ არც საგზაო ნიშნებს და არც საგზაო წესებს. ამიტომაც ხდება ავარიები“.

კითხვაზე, ხომ არ იგეგმება „შავი წერტილებისთვის“ სამართლებრივი სტატუსის მინიჭება, როგორც მუმლაძე განმარტავს, შსს ამ საკითხზე მუშაობს და დეტალები უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი:

„როდესაც 3 წლის წინათ საქალაქო ტრანსპორტის სამსახურში მოვედი, მაშინაც არასამთავრობო სექტორი აქტიურად საუბრობდა ამ თემაზე. ამიტომ მივმართე შსს-ს, მიეთითებინა კახეთის გზატკეცილზე „შავი წერტილის“ ლოკაცია, მაგრამ რადგან უწყებაში აღნიშნულს არ ითვლიან, გამომიგზავნეს მთლიანი 7 კმ-იანი გზატკეცილის მონახაზი. ახლა, როგორც ვიცი, დაწყებულია პროექტზე მუშაობა და ამჟამად საპილოტე რეჟიმია“.

შეგახსენებთ, ავტოსაგზაო შემთხვევების სტატისტიკას:

2019 წლის პირველი და მეორე კვარტალი: *3 203 შემთხვევა, რასაც 215 ადამიანი ემსხვერპლა, 3 915 კი დაშავდა.*

2018 წელი: *6,452, რასაც 459 ადამიანი ემსხვერპლა, 9,047 მოქალაქე კი დაშავდა.*

2017 წელი: 6 079, რასაც 517 ემსხვერპლა, 8461 მოქალაქე კი დაშავდა.

2016 წელი: 6 939, რასაც 581 ემსხვერპლა, 9951 მოქალაქე კი დაზარალდა.

2015 წელი: 6 432, რასაც 602 ადამიანი ემსხვერპლა, 9 189 მოქალაქე კი დაშავდა.

სალომე ლემონჯავა

სანთელი

თსსუ იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი უსამძიმრებს ბადრი ტაბიძესა და ნინო ტაბატაძეს მამის და მამამთილის

ვაჟა ტაბიძის

გარდაცვალების გამო

გარდაიცვალა ჟაკ შირაკი

ამის შესახებ AFP პოლიტიკოსის ოჯახზე დაყრდნობით წერს.

შირაკი 86 წლის იყო. მისი სიკვდილის მიზეზი ჯერჯერობით არ სახელდება.

ზემო ხოდაშენში მამაკაცის ცხედარი იპოვეს

ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ხოდაშენში ახალგაზრდა მამაკაცის დამწვარი ცხედარი იპოვეს.

ცხედარი სოფლის სასაფლაოზე მწყემსმა აღმოაჩინა. გავრცელებული ინფორმაციით, მამაკაცს რამდენიმე დღე ეძებდნენ.

შემთხვევის ადგილზე ასევე ნაპოვნია ბენზინიანი ავზიც.

გარდაცვლილს ექსპერტიზა სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროში უტარდება.

მომხდართან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტროში გამოძიება სსკ-ის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

ქუთაისში მობილური ტელეფონების ქურდობის ფაქტი გაიხსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ქუთაისის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2002 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი შ.ჩ. ქურდობის ბრალდებით დააკავეს.

დაკავებულმა მიმდინარე წლის 22 სექტემბერს, ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირზე, მდებარე კომპანია „ჯეოსელის“ ოფისში ფარულად შეაღწია, სადაც მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა სარეალიზაციოდ გამზადებულ ხუთ მობილურ ტელეფონს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. „სამართალდამცველებმა, ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ბრალდებული არასრულწლოვანი მომხდარიდან რამდენიმე საათში, ბაღდათში დააკავეს. პოლიციამ, დაკავებულის საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკისას, ხუთივე მოპარული მობილური ტელეფონი ნივთმტკიცებად ამოიღო.

სენაკელებს ქართული ტრადიციული სიმღერისა და გალობის შესწავლა უფასოდ შეეძლებათ

დღეიდან სენაკში მცხოვრები ნებისმიერი ასაკის მსურველს ქართული ტრადიციული სიმღერისა და გალობის შესწავლა უფასოდ შეუძლია. სალოტბარო სკოლის გახსნის მიზანია 2001 წელს იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში შესული უნიკალური ქართული სიმღერის გადარჩენა, შენახვა, პოპულარიზაცია და მომავალი თაობებისთვის გადაცემა.

სენაკის სალოტბარო სკოლის ლოტბარ-რეგენტი გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული დიმიტრი კაკულია იქნება.

სალოტბარო სკოლის გახსნაზე სენაკის სამხატვრო გალერეაში წმინდა ალექსი შუშანიას მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის ბავშვთა გუნდმა და კოლხურმა ტრიომ ხალხური სიმღერები და საგალობლები შეასრულეს. ფოლკლორის ცენტრსა და სენაკის მერიას შორის მემორანდუმიც გაფორმდა,რაც რეგიონში შემოქმედებითი აქტივობების გამართვას ითვალისწინებს.

ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი დონაძემ 2020 წელს ანსამბლ „ბასიანის“ საიუბილეო წელთან დაკავშირებით სენაკაში ანსამბლის სოლო კონცერტი დააანონსა. ასევე მომავალ წელს ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალისთვის სამეგრელოს რეგიონი პრიორიტეტი იქნება.

ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ინიციატივითა და ადგილობრივი თვითმმართველობების მხარდაჭერით საქართველოს მასშტაბით უკვე 23 სალოტბარო სკოლა მოქმედებს. სალოტბარო სკოლების გახსნა კიდევ 6 მუნიციპალიტეტში იგეგმება.

იაკობ ლეჟავა
„რასაც გულგრილად ვერ ვუყურებდი“





ორტომეულის შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში.

ორივე ტომის ფასი 10 ლარად.

მისამართი: *არნოლდ ჩიქოვანის ქ. №42 (ყოფილ საბჭოს მოედანთან).*

კაცობრიობის უმეტესი ნაწილი საფრთხის წინაშეა

გაეროს საგანგებო ანგარიში აფრთხილებს, რომ კაცობრიობის უმეტეს ნაწილს, ოკეანეებზე და დედამიწის გაყინულ რეგიონებზე გლობალური დათბობის დამანგრეველი გავლენა ემუქრება.

კლიმატის ცვლილების საკითხზე მთავრობათაშორისი პანელის ანგარიში ასკვნის, რომ კლიმატის ცვლილება ოკეანის დათბობას აჩქარებს, ზღვის დონეს ამაღლებს, ყინულის საფარს და მყინვარებს ადნობს და ამასთან დაკავშირებულ სხვა ეკოლოგიურ პრობლემებს იწვევს.

ანგარიშში ნათქვამია, რომ თუ გლობალური დათბობა არ შენელდება, საუკუნის ბოლოსთვის ზღვის დონე თითქმის ერთი მეტრით აიწევს. ასეთი ვითარება გამოიწვევს თევზის რაოდენობის შემცირებას, ნაკლებ თოვლს და ყინულს, უფრო ძლიერ ქარიშხლებს და „ ელ ნინიო“ სისტემებს.

ანგარიშში გამოთქმულია ვარაუდი, რომ გლობალური დათბობა საკვებით მომარაგებაზე, მთელ საზოგადოებებზე და გლობალურ ეკონომიკაზე უარყოფითად აისახება.

თუმცა ავტორებმა თქვეს, რომ ანგარიშში მოყვანილი, ყველაზე უარესი სავარაუდო სცენარების თავიდან აცილება ჯერ კიდევ შესაძლებელია, თუ სითბოს დამჭერი გაზების გამოფრქვევას, მსოფლიო შესაბამისად მოუვლის.

პრეისტორიული „ჩვილის ბოთლები“

გერმანელმა მეცნიერებმა ბავარიაში აღმოაჩინეს პრეისტორიული კერამიკული ჭურჭელი, რომლითაც ვარაუდობენ, რომ უძველესი ხანის ადამიანები თავიანთ ახალშობილებს რძით კვებავდნენ. ამის შესახებ ინფორმაციას Deutsche Welle ავრცელებს.

ზოგიერთი კერამიკული ჭურჭლის ფორმა ცხოველისას ჰგავს. აღმოჩენილ ჭურჭელს ბრინჯაოს და რკინის ხანის პერიოდს მიაკუთვნებენ. კვლევის შესახებ ინფორმაცია ჟურნალ Nature-ში გამოქვეყნდა და მისი ცნობით, ამ აღმოჩენით დასტურდება მაშინდელი ადამიანის ცხოვრებისთვის შინაური ცხოველების რძის პროდუქტების მნიშვნელობა.

არქეოლოგები ამბობენ, რომ პრეისტორიული ადამიანის საკვებთან დაკავშირებით ცოტა რამ არის ცნობილი.

ინდოეთში ქუჩაში მოსაქმეების გამო 2 ბავშვი მოკლეს

BBC-ის ინფორმაციით, შემთხვევა მადჰია-პრადეშის შტატში მოხდა. 12 და 10 წლის ბიძაშვილებს თავს მაშინ დაესხნენ, როცა ისინი გზის პირას ბუნებრივ მოთხოვნილებას იკმაყოფილებდნენ. ბიჭების ნათესავების თქმით, მათ სახლში საპირფარეშოს მოსაწყობად სახსრები არა აქვთ. პოლიციაში აცხადებენ, რომ ბავშვები ჯოხებით სცემეს, რამაც მათი სიკვდილი გამოიწვია. მომხდარზე 2 ადამიანია დაკავებული. საქმე მკვლელობის მუხლით აღიძრა.

ქუჩაში მოსაქმება ინდოეთში გავრცელებული პრობლემაა. მის მოსაგვარებლად ქვეყანაში 2014 წლიდან სახელმწიფო პროგრამა მოქმედებს.

უვიცობა, თუ... კოჭის გაგორება?

„ფორმულა 1“-ის იტალიური გუნდის, „ფერარის“ პრესსამსახურმა საკუთარ „ტვიტერში“ გამოაქვეყნა რუსეთის გრანპრისადმი მიძღვნილი პოსტერი. პლაკატი ყვითელ-ნარინჯისფერ ფერებშია გადაწყვეტილი. მასზე გამოსახულია წითელი სარბოლო ბოლიდი და სიტყვა „სოჭი“ სამ ენაზე წერია — რუსულად, ინგლისურად და აფხაზურად.

„ფორმულა 1“-ში მსოფლიოს ჩემპიონატის მორიგი ეტაპი სოჭში 29 სექტემბერს გაიმართება.

„ფერარი“ მიმდინარე ჩემპიონატის გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილზეა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქოვანის (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოზულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.9737; ევრო - 3.2684;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6963;
100 რუბლი - 4.6231; თურქული ლირა - 0.5227;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7463;
1000 სომხური დრამი - 6.2538.

ამინდი 27 სექტემბრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +11, დღე +28
მთიანი რაიონები - ღამე +7, დღე +26
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +13, დღე +29
მთიანი რაიონები - ღამე +9, დღე +27
თბილისი: ღამე +16, დღე +27

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge